

მიხედეთ მინას; მინა დაგაპყრებთ და ვაგათბობთ თქვენ!

ჩილა—ქ

AgroNews.ge

New  
სხალი  
ეკონომიკური

# საქართველო

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№8 (88), აპრილი, 2018



## ლოთაგორა 2018 LOMTAGORA

### უხვი მოსავლისათვის!

ქართული სტრუქტურის  
სერტიფიცირებული სათესლე მასალა –  
„ლოთაგორა 126“ დამზადებულია –  
სუხვი მღიბა



ტელ.: 596 585 585

განხილეთ, ლოთაგორას დასახლება  
[WWW.LOMTAGORA.COM](http://WWW.LOMTAGORA.COM)  
[INFO@LOMTAGORA.COM](mailto:INFO@LOMTAGORA.COM)

# VICTORIA

**იონჯას**

**უსვმოსავლიანი**

**თესლი**



უსვმოსავლიანი;  
ფაქიზი ღერო ხშირი ფოთლებით;  
წელიწადში თიხვის ჯერადობა – 3-8;  
მცენარის სიმაღლე – 70-80 სმ;  
თესვის რეკომენდებული ნორმა ჰა/ზე – 25-30 კგ;  
ენერგეტიკული ფასეულობა % – 8;

შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას;  
გამკლავ დაავადებებისადმი;  
კარგად იზრდება ყოველი გათიხვის შემდეგ;  
კარგად იზუჩება, აქვს ხშირი ნაზარდი;  
ითესება როგორც შემოდგომით, ისე გაზაფხულზე.

**შპს აგროვიტა**



თბილისი, წერეთლის გამზ. 116,  
ტელ/ფაქსი: 2 341 678;  
მობ.: 597 170 706, 597 170 703  
ელ.ფოსტა: agrovitae@gmail.com  
www.agrovitafsc.com



ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

აგისტო, 2018 წელი.

№8 (88)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანოძე, რეზო ჯაბნძე, მიხეილ სოსხაძე, თამარ სანიძე, რუსუდან გიგაშვილი (კონსულტანტი), თეონა ნოზაძე, ნოდარ ბრეგვაძე, ბექა გონაშვილი, გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერებათა-მედიცინის რედაქციის რედაქტორი), დავით ბირვაძე (რედაქტორი), მალხაზ ხაზარბეგაშვილი (ელ. ჟურნალ agronews.ge-ს კონსულტანტი) თამაზ გუგუშვილი (ინგლ. ვერს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რეკვან მახარობლიძე (თავმჯდომარე), გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტყარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ებანოძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, შოთა ჭალაგანიძე, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, ანა გულბანი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ფულუხიძე, ზურაბ ჯინჯიასაძე, ქრისტო კახნიამელი, ადონ ტყეშელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ჯემალ კაციტაძე, ნუკრი მემარნიშვილი, ნიკოლოზ ზაზაშვილი, მიხეილ ჭიჭიყაძე, დავით ბოსტაშვილი, იოსებ სარჯველაძე, ნუგზარ სარჯველაძე, თენგიზ ყურაშვილი, ანატოლი გიორგაძე, ლევან თორთლაძე, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

დააკაბადონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია. All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა „ივერიელი“

(ვიფრული ბიბლიოთეკა)

www.dspace.nplg.gov.ge

ახალი აგრარული საქართველო დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

გამომცემი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Association of Agrarian Sector Companies (ASCA). საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“; Regionica — Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00 599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

www.agronews.ge

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

როგორი ნაიკითხავთ:



6



სამაგალითოდ ქართული განკავშირების ნიღარლანდური რაზობანკი

„ჩვენი უმთავრესი მიზანია მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ნიდერლანდების კეთილდღეობასა და აყვავებაში და მსოფლიოს საკვებით უზრუნველყოფაში.“



12

ღვინის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სესხელების წარმოება მსოფლიოში: რაღივები და განვითარების პერსპექტივები

ბოლო 60 წლის განმავლობაში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნილებაც.



23

ფავის ბიოაგროწარმოება

ფეტვი – იმერულად და გურულად – „ჭადი“, აფხაზურად – „ამაგ'რძ“, კახურად – „ფარჩხა“. რაჭაში ფეტვს ჭადს, ლეჩხუმში „ფეტვსა“ და „შავ ჭადსაც“ უწოდებენ.

ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებულია 2009 წლიდან.

სამეცნიერო სტატიის მოცულობა ინტელისურენოვანი რეზიუმეს და გამომყვანული ლიტერატურის თანხლებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ინტერპალით, სიღრმად 12 ზომის შრიფტით ნაბეჭდ თაბასის 7 (შვიდ) გვერდს.

ჩვენი რეკვიზიტები:

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ჟურნალ „ახალი აგრარული საქართველო“ გამომცემელი) „აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ ს/ს 404856483 ს/ს „ზაზისბანკი“ BASGE22(220101956) ა/ნ GE23BS000000034536405 მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51

4 წლევანდელ სავაჭრო აზარზე და ვაჭარბარზე სარეკორდო ფასი ფიქსირდება

ქართული ნაბარბარული წვენები, ჩაი და თხილი ვერკონის ბარბარზე სტრატეგიული

4 საეკონომიკო პროდუქტები შეიქვება ბარბარზე

5 რატომ არ ინტერესდება უსტარ წარმომართ ქართველი ფარმარები?

5 უსტარ

8 პირველი ბრავალფუნქციური პლანტორმა აგროსექტორში აგროფონის - ბარბარ მომარბალი

11 „ჩინეთი ქართული ღვინისთვის ყვარბა სწარფად მარბალი ბარბარია“

17 ღვინისა და სარბელების წარმომართ პერსპექტივები საქართველოში

20 მარბარბარბარბარ რეგულირბარბარ განვითარების პერსპექტივები საქართველოში

22 „ბარბარ თითქმის მთლიანად დაბარბარბარია აქვს სარბარბარ წარმომარბარბარბარ „თარბარ“

26 სტრატეგიული (ქინარბარბარ) - ღარბარბარ, მოვარბარ, მოვარბარ, ბარბარ ბარბარბარ

28 არჩეული პროფონით ვარბარბარ

28 ბარბარბარბარ ვარბარბარბარბარ?

29 ბარბარბარბარბარ აგრონომბარბარ?

30 ღარბარბარბარ სარბარბარბარბარ თინარბარბარ, უარბარბარბარბარ და რარბარბარბარ



## საქართველოს ბაზარზე თხილის ფასი 2-დან 3,5-4 ლარამდე მერყეობს

აგვისტოს მეორე ნახევრის მდგომარეობით ერთი კილოგრამი ხარისხიანი ძართული თხილის საშუალო ფასი 2-დან 3,5-4 ლარამდე მერყეობს (1,15-1,60\$).

საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ შემოდგომაზე ჩასაბარებელი თხილის ფასი გაიზრდება.

„ჩვენ ვთავაზობთ ფერმერებს, რომლებსაც სურთ დაელოდონ ფასის გაზრდას და შემოდგომით სურთ თხილის გაყიდვა, თხილი სპეციალურ საშრობ-შესანახ საწარმოებში შეინახონ, რაც მათ თხილის ხარისხის შენარჩუნებაში დაეხმარებათ.

საქსტაგის მონაცემებით 2017 წელს საქართველოში თხილის წარმოებამ 23,7 ათას ტონას მიაღწია,

რაც 2016 წელთან შედარებით 28,4%-ით ნაკლებია.

2017 წელს საქართველოდან ექსპორტზე 17 ათასი ტონა თხილი გავიდა, წინა წელთან შედარებით კლება თვალსაჩინოა – 37,3%.

შარშან საექსპორტო შემოსავალმა 83,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წელთან შედარებით 2,2-ჯერ ნაკლებია. ვითარება არც წლეულს იძლევა დამშვიდების საშუალებას.

საქართველო დღეს წარმოებული თხილის მოცულობით მსოფლიოში

თურქეთის, იტალიის და აშშ შემდეგ მეოთხე ადგილს იკავებს, თუმცა დედია ალბათობა იმისა, რომ ქვეყანამ ეს პოზიცია დაკარგოს.

პირველ გვერდზე წინა ნომერში რომ გვქონდა ხორბლის ფოტოები იმაზე უნდა დაიდოს ეს ცხრილი პდფშია თავისი ლოგოთი. როგორც არის, მოარგე შენებურად. გიგზავნი პირველი გვერდის ფოტოებს, ესენი შენც გაქვს.

ასევე გიგზავნი ფოტოებს რაც გაკლია იმ მასალებში გაანალივე, შენ აარჩიე სად რომელი ჩასვა

### საექსპორტო პროდუქტი

## ქართული ნაბურღული წვენები, ჩაი და თხილი ევროპის ბაზარზე სტრატეგიული საექსპორტო პროდუქტები შეიქლება გახდეს

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრმა (ITC) საქართველოში ექვსი: ჩაის, წვენი, მზრალი ხილის, გადაამუშავებული ხილის და ბოსტნეულის, თხილის და სანაღებლების სუბსექტორი გამოიკვლია, რის შედეგადაც გამოვლინდა სამი პროდუქტი, რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე ყველაზე მეტი საექსპორტო პოტენციალი აქვს. ესენია: ხილის წვენები, ჩაი და თხილი.

პროექტის მიმდინარეობისას (ReadyforTrade), რომელსაც ევროკავშირი აფინანსებდა, გამოიკითხა 81 ქართული კომპანია, რომელთაგან 49%-ს უკვე გააქვს პროდუქცია ევროპის ბაზარზე, ხოლო 37% მზად არის დაინყოს ამ ბაზარზე თავის პროდუქციის ექსპორტი.

რა მდგომარეობაა ამ სექტორებში და რა არის საჭირო საიმისოდ, რომ ევროპის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი და საექ-

სპორტო ასორტიმენტი გაიზარდოს?

როგორც პროექტის მენეჯერი კოტე მდინარაძე განმარტავს, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი შერჩეულ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობას და მათ ტექნიკურ მხარდაჭერას გეგმავს. ცენტრი ასევე დაეხმარება ქართულ კომპანიებს საერთაშორისო გამოფენებზე თავიანთი პროდუქციის წარდგენა-პოპულარიზაციაში, ევროპულ სადისტრიბუციო



ქსელთან კავშირის დამყარებაში და სხვა.

ევროპაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და მაღალი ხარისხის, ნატურალური პროდუქციის გამოყენების ტენდენცია სწრაფად იზრდება და სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს, რაც ამ სექტორის ქართული პროდუქციის მწარმოებლებისთვის უზარმაზარი შესაძლებლობაა და ეს შანსი ჩვენმა ბიზნესმა უნდა გამოიყენოს.

# რატომ არ ინტერესდებიან ფსტას წარმოებით ქართველი ფერმერები?

იმის მიუხედავად, რომ საქართველო მსოფლიოში თხილის მსხვილი მწარმოებელია და აქტიურად აწვითარებს სხვა კაკლოვანი კულტურების გაღებას, დღემდე ჩვენ ფერმერებს ფსტა არ მოუხვამთ.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ეს პროდუქტი მთლიანად თურქეთიდან და ირანიდან შემოაქვს, ხოლო 1 კილოგრამის საშუალო ფასი 60 ლარს (24,5\$) აღწევს.

ადგილობრივ თუ უცხოურ ბაზრებზე ამ პროდუქტის მაღალი ფასის და გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად ჩვენი ფერმერები ამ კულტურის წარმოებით არ ინტერესდებიან.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველ ფერმერებს ფსტას

თურქული ჯიშის (ის ადაპტირებულია რეგიონის კლიმატურ პირობებთან და 25 გრადუსამდე ყინვას უძლებს) რამდენიმე ათასი ნერგი საჩუქრად გადაეცათ.

ირანი, აშშ და თურქეთი მსოფლიოში დღეს ფსტას უმსხვილესი მწარმოებლები არიან. 2016-2027 წლებში ფსტას მსოფლიო წარმოება თითქმის 50%-ით გაიზარდა და 777 000 ტონას მიაღწია. მსოფლიო მოთხოვნილება – 672 000 ტონით (30%), ხოლო ექსპორ-



ტის მსოფლიო მოცულობა თითქმის 40%-ით გაიზარდა და 371 000 ტონას მიაღწია.

ფსტას საერთაშორისო ფასებიც სტაბილურად მაღალია.

## პერსპექტიული კულტურები

### ფსტა

**ფსტა (PISTACIA?) – ტანდაბალი – 0,7-10 მეტრის სიმაღლის ხეა. გვხვდება მკვეთრად გამოხატული ერთი, ძირითადი ღეროთი ან ბუჩქით.**

მცენარე ორსახლიანია, მამრობითი ყვავილები რთულ და განიერ საგველაშია შეკრული, ხოლო მდედრობითი ყვავილები – ვიწრო საგველში.

ნაყოფი კაკლოვანი, კვერცხისებური ფორმისაა, რომელსაც გარეთა ტყავისებრი გარსი ადვილად სცილდება. მისი ლებნები იჭმევა, ძალიან გემრიელია მოხალული. მისგან სხვადასხვა ნუგბარს ამზადებენ (რაჰათ-ლუხუმი, ტორტი და სხვა). იგი შეიცავს 60% ცხიმს, მისი სამკურნალო თვისებები ძველთაგანვე ცნობილია. იყენებენ როგორც ხალხურ, ისე მედიცინაში მეცნიერულ, მუცლის, ნაწლავების, თირკმლების, ტუბერკულოზის და მკერდის დაავადებების, აგრეთვე ქალის და მამაკაცის უნაყოფობის სამკურნალოდ, მძიმე ლოთონების მარილებით მონამვლის დროს და სხვა.

სინათლისა და სითბოს მომთხოვნია, ბუნებრივად ადგილებსა და ტყისპირებში სახლობს, ჩვენში ნათე-

ლი ტყეების შემქმნელი ერთ ერთი ძირითადი სახეობაა. იგი კარგად იტანს სიმშრალეს, კარგად იზრდება ღრმა ალუვიურ, ლამიან ნიადაგებზე, ამავე დროს გვხვდება ხრიოკ, ნაკლებად განვითარებულ და მლაშე ნიადაგებზე. ივითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას.

იგი შიომღვიმის მონასტრიდან დასავლეთით აღარ გვხვდება, საქართველოს გარდა გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმში, კრასნოდარის მხარეში (შავი ზღვის მშრალ სანაპიროზე), ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებში, მცირე აზიასა და ირანში.

ფსტა ძლიერი, სიმშრალის ამტანი მცენარეა. ძლიერი და ფართოდ განვითარებული ფესვთა სისტემის წყალობით, მას წყალდაცვისა და ნიადაგდაცვის დიდი უნარი აქვს. ფსტის ნაყოფი გაღვივებისთანავე ივითარებს მთავარღერძიან ფესვს. მაშინ, როცა მისი ზედა ნაწილი ჯერ ნიადაგის ზედაპირსაც არ არის აცილებ-



ბული ხეირიანად, ფესვი უკვე 40 სმ. აღწევს.

ფსტა სინათლის მომთხოვნი მცენარეა, ვერ აზიანებს ნიადაგის მაღალ 45-48°C ტემპერატურას, ასევე კარგად იტანს 32-42°C ყინვას.

ყველა ზემოთ აღნიშნული ბიოეკოლოგიური თვისებებით იგი ძალიან გამოსადეგია აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ პირობებში გასაშენებლად.

ფსტას ძირითადად მუდმივ ფართობებზე თესვით და ვეგეტაციურად – მცნობით ამრავლებენ.

„ჩვენ გავინ ვართ წარმატებულნი, როცა ჩვენი კლიენტია წარმატებული“

ნაწილი II



# სამაგალითოდ ქართული ბანკებისათვის ნიდერლანდური რაბობანკი

ნიდერლანდები მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სადაც სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად ითვლება. ქვეყანაში აგრარული თვალსაზრისით ყველაზე განვითარებული მიცხოველეობაა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიცხვი აქ 5 მილიონს აღემატება, რაც ევროკავშირის მისაქონლეობის 4%-ს შეადგენს. განთქმულია ჰოლანდიის ყველი და კარაში.

2005 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა 17 მილიარდ ევროს გადააჭარბა, რაც ქვეყნის ექსპორტის 6% უტოლდებოდა.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს რაბობანკი (Rabobank), რომელიც ფინანსური მომსახურების და კლიენტთა რაოდენობის მიხედვით ამჟამად ქვეყნის მესამე და მსოფლიოს 32-ე უმსხვილესი ბანკია. მისთვის, ისევე როგორც საფრანგეთის აგროკრედიტ ფგუფისთვის (Credit Agricole) სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული სფეროები უპირველეს საქმიანობად რჩება. რაბობანკი 1800 ფილიალის და 439 დამოუკიდებელი წევრი ბანკისგან შედგება. Rabobank International 40 ქვეყანაში 121 ფილიალს ფლობს. მთლიანად ბანკში 550 000 თანამშრომელია დასაქმებული და 8,7 მილიონ მომხმარებელს ემსახურება, ეს კი ჰოლანდიის მოსახლეობის ნახევარზე მეტია.

2004, 2005 და 2006 წლებში ჟურნალმა Finance Global Magazine რაბობანკი მსოფლიოს ყველაზე დაცულ კერძო ბანკად დაასახელა.

ამბიციური გეგმების მქონე ბანკის ვებგვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენი უმთავრესი მიზანია მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ნიდერლანდების

კეთილდღეობასა და აყვავებაში და მსოფლიოს საკვებით უზრუნველყოფაში.“

2016 წლის ანგარიშის მიხედვით, რაბობანკმა მდგრადი განვითარებისთვის დასახული 17 ძირითადი მიზნის მისაღწევად ბევრი ღონისძიება და პროექტი განახორციელა.

## გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

### 1. არა სიღარიბეა

- 28,7 მილიონი ევროს ოდენობით გაცემული ინვესტიცია სიღარიბის აღმოსაფხვრელად;
- განვითარებადი ქვეყნების 4,7 მილიონი მცირე ფერმერისთვის განეული დახმარება;
- ნიდერლანდების 450 000 მოწყვლად ადამიანზე განეული დახმარება.

### 2. არა შიმშილი

- 102 მილიარდი ევროს ინვესტიცია მსოფლიო მასშტაბით სურსათით მდგრადი მომარაგების ხელშეწყობისთვის;
- დანტერესებული ჯგუფების სურსათისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შექმნილი 200-ზე მეტი პუბლიკაციით უზრუნველყოფა.

### 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

- 21 000 ბიზნეს-კლიენტის პირველადი დახმარების დაფინანსება;
- საავადმყოფოებში, ახალგაზრდების და მოხუცების ჯანმრთელობაში 8 მილიარდი ევროს ინვესტიცია.

### 4. ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა

- ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის გაღებული 121,4 მილიარდ ევროზე მეტი ნიდერლანდებში და 101,9 მილიარდ ევროზე მეტი მსოფლიოში;
- განვითარებადი ქვეყნებში ადგილობრივი ბანკების პოტენციალის ამაღლება, ადგილობრივ დონეზე ბანკების მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა დაახლოებით 10 მილიონი კლიენტისთვის.

### 5. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

- 570 მილიონი ევროს ინვესტიცია მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სფეროში;
- 85 მილიონი ევროს ინვესტიცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

### 6. ძალაქაზისა და სოფლის თემების მდგრადი განვითარება

- 72,8 მილიონი ევრო სოფლის თემთა ფონდების და შემონიშნულობებისთვის;

- 50 მილიონი ევროს ინვესტიცია პროგრამისთვის „მწვანე იზოთეკა“, რომელიც მუდმივი საცხოვრებელი ფართის პრობლემის მოწესრიგებითაა დაკავებული;

- ადგილობრივ თემთა ინიციატივების მხარდაჭერა ფინანსებით, ცოდნით და საკუთარი გამოცდილებით.

**7. ცხოვრება მიწაზე**

- 326 მილიონი ევრო ორგანული მეურნეობებისთვის და 23 მილიონი ევრო ეკოსისტემის დაცვისთვის; და ა.შ.

ძალზე საყურადღებო და საინტერესო აზრია გატარებული ბანკის ლოგოშიც, რაც ბანკის ვებგვერდზეა განმარტებული: „ჩვენი მზიანი ლოგოტიპი სიმბოლოა იმ თანადგომისა, რასაც ბანკი იჩენს კლიენტთა მიმართ. მოთხოვნები ხომ დროის საჭიროების მიხედვით იცვლება, ამიტომ მათ ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ვეხმარებით წარმატების მიღწევაში. ადამიანები, საქმე და ერთობა, რასაც ვემსახურებით, ყოველთვის დარჩება ჩვენი ბიზნესის მამოძრავებელ ძალად.“

**ყველაფერი კი ასე იწყებოდა...**

რაბობანკის დაარსებას საფუძვლად დაედო გერმანიაში კოოპერატიული მოძრაობის ფუძემდებლის და სოფლად პირველი კოოპერატიული ბანკის დამაარსებლის ფრიდრიხ ვილჰელმ რაიფაიზენის იდეები. რაიფაიზენის აზრით, კოოპერატიული ბანკის ფილოსოფია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა ჯგუფი ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ითავსებს: თანამფლობელის, პარტნიორის, დირექტორის და ა.შ. და ერთმანეთს ორმხრივი პასუხისმგებლობით უკავშირდებიან. ბანკი ადგილობრივების თანხების მოზიდვით ფინანსდება. ფერმერებს, რომლებიც ამ ბანკის წევრები არიან, შეუძლიათ გაასესხონ თანხა საბაზრო საპროცენტო განაკვეთით ისე, რომ მოგება ბანკის რეზერვში გადაირიცხოს.

XIX საუკუნის ბოლოს ნიდერლანდების სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდიდა. ფერმერების მოდერნიზაციის აუცილებლობა მწვავედ იდგა დღის წესრიგში, თუმცა, საამისოდ კრედიტების მოპოვებას ვერ ახერხებდნენ. რაიფაიზენის მოსწავლემ გერლაკუს ვან დენ ელსენმა (Gerlacus van den Elsen) ჰოლანდი-

ის სამხრეთ ნაწილში რამდენიმე ურთიერთდახმარების კოოპერატიული ფონდი დააარსა, რომელაც თავად სოფლის მკვიდრები აფინანსებდნენ და თანხებს საჭიროების შესაბამისად გონივრულად ანაწილებდნენ. ბანკის პრინციპი იყო „ორმხრივი ბანკი – მომხმარებელი – მომხმარებლისთვის“. ინიციატივამ ხელი შეუწყო ქვეყნის ამ ნაწილში კოოპერატიული მოძრაობის გაძლიერებას და ერთობლივი ასოციაციების ჩამოყალიბებას. მათში გაერთიანებული მოსახლეობა თავად იყო დაინტერესებული ერთიანი ძალებით ერთმანეთისთვის ფინანსური რისკები შეემსუბუქებინათ. ამ მოძრაობას დიდი მხარდაჭერა მოუცხადეს სამღვდელოებამ და სოფლის ელიტამ. 1898 წელს ეს ფონდები 2 დიდი კონგლომერატის ქოლგის ქვეშ გაერთიანდა:

1. რაიფაიზენის კოოპერატივების ბანკი უტრეხტში, რომელიც თავისი პროტესტანტული და დეცენტრალიზებული ხასიათით გამოირჩეოდა და 6 ადგილობრივ ფონდს აერთიანებდა;

2. ბოერენბანკის კოოპერატივების ბანკი ეინდხოვენში, რომელიც კათო-

ლიკური და ცენტრალიზებული ხასიათით გამოირჩეოდა და 22 ადგილობრივ ფონდს აერთიანებდა.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლები ფინანსური ინსტიტუტების დიდი კონკურენციით გამოირჩეოდა. ბევრი ჰოლანდიური ბანკი გაერთიანდა კრედიტებზე მომატებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ნახევარ საუკუნეზე მეტი თანაცხოვრების შემდეგ 1972 წელს ზემოხსენებული 2 კონგლომერატი ერთმანეთს შეერწყა და მიიღო სახელწოდება Raiffeisen-Boerenleenbanque, 1980 წლიდან კი უკვე რაბობანკის სახელით გახდა ცნობილი.

ბანკის არნახული წინსვლა გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა მან შეძლო მომსახურების პორტფელის გაფართოება საქმიანობაში სადაზღვევო, აქტივების მართვის და საინვესტიციო მიმართულების ჩართვით, რაც შესაბამისი პროფილის ბანკების შემოერთებით განახორციელა.

*თამარ ფხატაძე,  
მკვლევარი*



**გამოყენებული წყარო:**  
<https://www.rabobank.com/en/images/r652-rabodoordetijd-eng-def.pdf>  
[https://www.unglobalcompact.org/system/attachments/cop\\_2017/375201/original/annual-report-2016.pdf?1492004848](https://www.unglobalcompact.org/system/attachments/cop_2017/375201/original/annual-report-2016.pdf?1492004848)  
<https://www.rabobank.com/en/about-rabobank/in-society/sustainability/vision-and-policy/vision-sustainably-successful-together.html>  
[http://www.fondation-farm.org/zoe/doc/farm\\_pointdevue\\_201411\\_fouquet\\_a4.pdf](http://www.fondation-farm.org/zoe/doc/farm_pointdevue_201411_fouquet_a4.pdf)  
<http://www.fundinguniverse.com/company-histories/rabobank-group-history/>  
<https://www.rabobank.com/en/about-rabobank/profile/mission-strategy/index.html>  
<http://www.companieshistory.com/rabobank/>



# პირველი მრავალფუნქციური პლატფორმა აგროსექტორში აგროფეისი - მართა მომავალი

მინდა ჩემი წერილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორიის განმარტებით დავიწყო, თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ტერიტორია, რადგან ის გახდა თითქმის ყველა დარგის განვითარებისა თუ სხვადასხვა პროცესების მართვის ერთ-ერთი ძვაკუთხედი. ეს სიტყვა არის „კომუნიკაცია“ (COMMUNICATION – ქართულად – შეტყობინება, გადაცემა), რაც ნიშნავს – „გამზადდით ყველასთვის გასაგებში“.

როგორც ცნობილია, კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა ინდივიდებს შორის, ხოლო შემოქმედებითი მიდგომით კი კომუნიკაცია არის თანამონაწილეთა ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის დროსაც მონაწილეები გამოიმუშავენ ამა თუ იმ საგნებზე ან მოქმედებებზე საერთო შეხედულებებს და ამავე დროს აყალიბებენ საკუთარ ურთიერთობებს.

ეფექტურად ითვლება კომუნიკაცია, რომელიც გულისხმობს არამართო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებასაც.

არსებობს კომუნიკაციის რამდენიმე ფორმა მიმართულებების მიხედვით, მაგალითად:

ერთი ერთზე – საუბარი, შეტყობინება, კითხვა-პასუხი და სხვა;

ერთი მრავალთან – გაკვეთილები, ვებინარები, სემინარები, ლექციები და სხვა;

მრავალი მრავალთან – კონფერენცია, მონაწილეთა ჯგუფებს შორის დებატები და სხვ.

ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონული კავშირისა და ინტერნეტის გამოყენებით ძალზედ შემცირებულია მანძილი და დრო კომუნიკაციის მხარეებს შორის.

დღეს კომუნიკაცია, ფართო გაგებით, ადამიანური ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

სწორედ საკომუნიკაციო სისტემის ასეთი მნიშვნელოვანი როლის აუცი-

ლებლობა დავინახეთ ჩვენს ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარებისათვის.

აგროფეისი, პირველი მრავალფუნქციური პლატფორმა აგრობიზნესში, თანამედროვე საკომუნიკაციო აპარატია აგრარულ სფეროში.

მინდა აღვნიშნო ის, რომ მსოფლიოს ერებში სოფლის მეურნეობა და მიწათმოქმედება არ არის მხოლოდ სამეურნეო საქმიანობა, არამედ ის მათი ცხოვრების წესისა და მენტალიტეტის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ამ დროს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ჭრილში სოფლის მეურნეობა არის დარგი, სადაც უკიდურესად დაბალია შრომის მწარმოებლურობა, შესაბამისი ცოდნა და ფინანსურ რესურსებთან წვდომა, ამას ემატება თანამედროვე ტექნოლოგიების, აღჭურვილობისა და მექანიზაციის სიმწირე.

მართალია ცოდნა აკადემიურ წრეებში, დარგის სპეციალისტთა შორის არსებობს, მაგრამ ფიზიკურად ამ ცოდნის მიწოდება სწორედ არასათანადო კომუნიკაციის გამო, დაინტერესებულ მეურნე სუბიექტებთან ვერ ხერხდება. დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, შეუძლებელია სპეციალისტების მაქსიმალური ჩართულობა ამ პროცესებში.

ასევე, თითქოს არ არსებობს ფულადი რესურსების დეფიციტიც, მაგრამ აქაც არასათანადო კომუნიკაცი-

ის გამო, მათი რაციონალური წვდომა და შეფასება ვერ ხერხდება.

სიმართლე რომ ვთქვათ, ვერც აღჭურვილობისა და მექანიზაციის არარსებობას დავივიწყებთ, რადგან უამრავი რეგიონული მექანიზაციის ცენტრია ჩამოყალიბებული, კერძო თუ სახელმწიფო, მაგრამ ამ შემთხვევებშიც, სწორედ, კომუნიკაციის პრობლემა ხდის არაეფექტურს ამ რესურსების გამოყენებას.

თუ გავაგრძელებთ დარგის განვითარებისათვის შემაფერხებელ ფაქტორთა ჩამოთვლას, ყოველივე ზემოთ თქმულს დავამატებდი მონეული მოსავლის დაბინავება-შენახვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაც დაკავშირებულია სამაცივრე, სასაწყობო თუ სხვა მომსახურებების მიღების სირთულეებთან. ჩვენი აზრით, აქაც მიზეზი კომუნიკაციის დეფიციტია. ფაქტობრივად, აშენებული სამაცივრე საწყობები დღემდე თითქმის დაუტივრთავია.

რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია მოსავლის გადამამუშავებასთან ან რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ხელს უშლის მეურნე სუბიექტს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის დაგეგმვაში და მას ამის გამო ეკარგება მოტივაცია.

დარგის შემაფერხებელი ფაქტორები ნამდვილად მრავალადაა, რომელთა აღმოფხვრაშიც, ჩვენი აზრით, ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს, მინიმუმ პროვოცირებას გაუკეთებს ახალ წამოწყებებს, ხოლო მნიშვნელოვანი და მასშტაბური მიზნებისთვის მოახდენს ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსების კონსოლიდაციას.



**ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფერმერებისათვის შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები:**

1. ფერმერებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა, რის გამოც დაბალია სასოფლო-სამეურნეო სანარმოების ეფექტურობა;
2. ინოვაციებისადმი იჩენენ ინერტულობას, ვიდრე არ ნახავენ სხვა წარმატებულ მაგალითს;
3. არ აქვთ საკმარისი ფული;
4. აქვთ პროდუქციის გაყიდვის პრობლემა;
5. ვერ თვლიან დანახარჯებს;
6. ვერ ინახავენ პროდუქციას;
7. გადამყიდველების ჩართულობით იზრდება ფასები;
8. ძვირია მექანიზაციის მომსახურება, თუნდაც ტრაქტორის მიყვანა ადგილზე სახნავ-სათესი ოპერაციების შესასრულებლად;
9. პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებულ სტანდარტებთან მისადაგება და სხვა შეზღუდვებთან დაკავშირებული სახელმწიფო რეგულაციები;
10. სპეციალისტების – აგრონომების, ვეტერინარებისა და სხვათა არასაკმარისი ოდენობა.

**მრავალფუნქციური პლატფორმის შექმნის მიზანი მდგომარეობს შემდეგში:**

1. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული სუბიექტებისა და იურიდიული პირების მაქსიმალური ჩართულობით;
2. ფერმერებისა და აგრობიზნესში ჩართული ადამიანებისთვის ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება;

გაგაცნობთ წარმოდგენილი მრავალფუნქციური საკომუნიკაციო პლატფორმის – „აგრო ფეისის“ უნიკალურ ფუნქციებს ზემოთ ჩამოთვლილი ურთულესი ამოცანების მართივად გადაჭრისათვის.

ამისათვის, თავდაპირველად საჭიროა სისტემაში მითითებული და თქვენთვის შესაბამისი როლის არჩევით რეგისტრაციის გავლა და საკუთარი პროფილის შექმნა. დარეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია საკომუნიკაციო პლატფორმის ყველა შემოთავაზებული სერვისით სარგებლობა.

დავინყებ დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ფუნქციით.

როგორ ხდება ფინანსურ, იურიდიულ და აგრარულ სფეროებში ფერმერებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების დაკავშირება?

მაგალითად, აგრარულ საკითხებში ონლაინკონსულტაციის მიზნით ფერმერს ან მეურნე სუბიექტს შეუძლია დაუკავშირდეს სისტემაში რეგისტრირებულ ექსპერტებსა და დარგის გამოცდილ სპეციალისტებს, „ერთი-ერთზე“ ან „ერთი-მრავალთან“. მიმონერის გზით მათ შეუძლიათ მიიღონ სასურველი რჩევები და თავის მხრივ შეაფასონ მათი მრჩევლები.

სისტემაში არსებული ავტომატური შეფასების ინსტრუმენტი პერიოდულად, მაგალითად, კვირის ან თვის განმავლობაში გამოარჩევს ყველაზე აქტიურ და პროფესიონალ სპეციალისტებს და რეიტინგის მიხედვით დაალაგებს მათ, ხოლო საუკეთესო გამოჩნდება პირველ გვერდზე ნომინაციაში – კვირის სპეციალისტი.

ჩვენი სურვილია მივცეთ პროფესიონალებს მათი შესაძლებლობების გამოვლენის რეალური საშუალება ღია სივრცეში. ამასთან ერთად, დროთა განმავლობაში მოხდება მათი გამოცდილებისა და ცოდნის ამაღლება. აქ ასევე შესაძლებლობა მიეცემათ ახალბედა სპეციალისტებსაც მოსინჯონ თავიანთი ძალები და ინტენსიური აქტიურობით შეძლონ მათაც აიმაღლონ ცოდნის დონე და კვალიფიკაცია. ამავე მიზნით კითხვა-პასუხებში სავსებით შესაძლებელია ჩაერთონ გამოცდილი პრაქტიკოსი ფერმერებიც და მათ თავიანთი გამოცდილებით

შესთავაზონ. აქაც სპეციალისტებს ეძლევათ საშუალება მათი თეორიული ცოდნა შეავსონ პრაქტიკულით, ხოლო პრაქტიკოსებს – პირიქით.

ალბათ დამეთანხმებით, ასეთი აქტიურობა დიდ სარგებელს მოუტანს მასში ჩართულ ყველა მხარეს, ხოლო რეიტინგული სპეციალისტები კი გახდებიან მოთხოვნადი როგორც საკონსულტაციო მომსახურების მიზნით, არამხოლოდ ფერმერების, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, მაგალითად, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების ან თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

მათ ასევე შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეს შესთავაზონ მათივე მომზადებული ვიდეორგოლები ან გაკვეთილები, გამოაქვეყნონ სტატიები, ხოლო ვებინარების მეშვეობით ნაიკითხონ ლექციები მათ მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან და სხვა.

გათვალისწინებულია სისტემის მიერ გამოვლენილი ასეთი რეიტინგული სპეციალისტების ნახალისება, რაც მოხდება შესაბამისი ჰონორარების ან დაჯილდოების სახით, რაც ასევე გაზრდის მათ მოტივაციას.

აქვე მინდა აღვნიშნო აგრო და ვეტკალენდრების ფუნქციონალები.

აგროკალენდარი ფერმერს დაეხმარება მისთვის სასურველი კულტურისათვის აგროტექნიკური პროცესების მართვაში. აქ დაიდება და პერიოდულად შეიცვლება თითოეულ კულტურაზე, ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და კალენდარული გეგმის სახით შესაბამისი კალკულაციის ინსტრუმენტი, რაშიც ფერმერი თავისი მონაცემებისა და პარამეტრების შეტანით მიიღებს მისთვის პერსონალურად მორ-



გებულ ბიზნეს-გეგმას თავისივე გამოთვლებით, რაც ადვილად აღსაქმელი იქნება როგორც ბანკებისათვის, ასევე სხვა საფინანსო ორგანიზაციებისათვისაც, ბანკებს კი ამ სისტემის მეშვეობით შესაძლებლობა ექნებათ თვალყური ადევნონ თავიანთი ბენეფიციარების აქტიურობას და მის ყოველდღიურ მდგომარეობას, რასაც ისინი ამ პლატფორმაზე წარმართავენ მათივე კრედიტ-ოფიცრების ან გაყიდვების მენეჯერების მეშვეობით.

ვეტკალენდარი ფერმერებს დაეხმარება სასურველ ცხოველთა ან ფრინველთა, აგრეთვე თევზის, ფუტკრისა და სხვათა ზოოტექნიკური და ვეტერინარული პროცესების მართვაში. მაგალითისთვის, მათ სისტემა პერიოდულად შეახსენებს აცრებისათუ სხვა აუცილებელი ქმედებების განხორციელების დროსა და ვადებს. ეს მოხდება როგორც მათსავე პროფილზე, ასევე მობილურზე SMS-შეტყობინების სახით.

რაც შეეხება მომსახურების ერთერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, აგრომექანიზაციისა და ტექნიკის მომსახურების მხრივ, ამ პრობლემას ძირითადად მცირემინიანი ფერმერები აწყდებიან, რაც მდგომარეობს შემდეგში: დღემდე არსებული მექანიზაციის ცენტრები განლაგებულია რეგიონებში და მათ გააჩნიათ შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნები. მაგალითად: ტრაქტორის სიმძლავრე, დღიური შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ოპტიმალური მანძილი ცენტრიდან სახნავ-სათესამდე და ასევე სანვავისა თუ სხვა საპოხი მასალების დანახარჯები.

ამ მოთხოვნებთან მისადაგება ცალკეული მცირემინიანი ფერმერი-

სათვის შეუძლებელია მათივე მეზობელ ფერმერებთან გაერთიანების გარეშე. აქაც ამ ამოცანის გადაუჭრელობა, სწორედ არასათანადო კომუნიკაციის პრობლემას უკავშირდება.

„აგროფეისის“ მეშვეობით სათანადოდ შერჩეულ ფერმერთა ჯგუფს, მათი ლოკაციის მიხედვით, შეეძლება ოპტიმალურად აირჩიონ მათთვის სწორად შერჩეული ექსტენციის ცენტრი ან სერვისი და მათსავე პროფილზე დადებულ ტექნიკურ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს მიუსადაგონ თავიანთი ამოცანები. მაგალითისთვის: ექსტენციის ცენტრს ჰყავს ტრაქტორი, რომელსაც დღის სამუშაო საათების განმავლობაში შეუძლია მოხნას ან სხვაგვარად დაამუშაოს გარკვეული ფართი, გარკვეულ სიმორეზე შესაბამისი განფასებით, რაც ვიზუალურად გამოიხატება რუკაზე შემოთავაზებული ოპტიმალური ფართის დაფარვის ზონით. კომუნიკატორში ამ დადებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მოხდება სისტემაში დარეგისტრირებული ფერმერების დაჯგუფება მოცემული დაფარვის ზონის მიხედვით და მომსახურების გამოძახება. ყოველივე ეს შეეძლება სახლიდან გაუსვლელად განახორციელონ.

ფერმერებს ან სხვა როლში რეგისტრირებულ სუბიექტებს ან იურიდიულ პირებს ასევე თავისი საკუთარი პროფილის მეშვეობით შეუძლიათ გააცნონ თავისი საქმიანობა სხვებს და შესთავაზონ პროდუქცია ან მომსახურება სამიზნე აუდიტორიას. სისტემა ავტომატურად მოუძებნის და შეურჩევს მათით დაინტერესებულ პირთა კონტაქტებს. გარდა ამისა,

კომუნიკატორის მეშვეობით მათ შესაძლებლობა აქვთ გაყიდონ ან იყიდონ მათთვის სასურველი პროდუქტი, ხოლო პლატფორმაზე არსებული ავტომატური შეფასების სისტემით შეუძლიათ შეარჩიონ და ააგონ გრძელვადიანი კვალიფიციური კავშირები, როგორც მომწოდებლებთან, ისევე შემსყიდველებთან.

**ონლაინ მალაზია.**

ამჟამად მიმდინარეობს დისტრიბუციისა და მიწოდების სისტემის დახვეწა და მოკლე ხანში გვექნება სრულფასოვანი ონლაინ მალაზიის ფუნქციონალი, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს საცალო ვაჭრობაში ჩართულ სუბიექტებს.

კომუნიკატორის უნიკალური საძიებო სისტემა ასევე მოხერხებულად დააკავშირებს დასაქმების მაძიებელსა და დამსაქმებელს, მითუმეტეს თუ პირები რეგისტრირებულნი იქნებიან სისტემაში და ექნებათ თავიანთი პროფილი, ხოლო მეტი სრულფასოვნებისთვის სისტემის მეშვეობით მათ შეუძლიათ დამატებით აწარმოონ ურთიერთმიმონერა კითხვა-პასუხის რეჟიმში და გააცნონ ერთმანეთს დასახული ამოცანები და პიროვნული შესაძლებლობები.

გარდა ამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხისა, ჩვენ სხვაგვარადაც ვიზრუნეთ როგორც ფერმერის, ასევე კონსულტანტების აგრარულ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების ამაღლებაზე. პლატფორმას გააჩნია ბიბლიოთეკა, ვიდეოგაკვეთილები, ვიდეორგოლები, ყოველდღიური სიახლეები, სხვადასხვა ღონისძიებათა კალენდარი – SMS ინფორმაციის და სხვა. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ შევძელით ყველა ეს შესაძლებლობა განგვევრცო მთელი კავკასიის მასშტაბით. პორტალს შეუძლია მოემსახუროს როგორც ქართველ, ასევე – აზერბაიჯანელ და სომეხ მოქალაქეებს. მათ შეუძლიათ ჩვენი კომუნიკატორის მეშვეობით ურთიერთობა დაამყარონ როგორც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებთან, ასევე – ურთიერთთან. ეს დამოკიდებული იქნება, თუ რა ენაზე შეავსებს მის პროფილს ან განცხადებას მომხმარებელი. პორტალთან ურთიერთობა შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.



როგორ შეგვიძლია დავახასიათოთ ჩვენი მრავალფუნქციური პლატფორმა

1. აგრარულ სექტორზე ორიენტაცია;
2. ორიენტირებულია ფერმერებზე და მათთან დაკავშირებული პოტენციური მომხმარებლების ინტერესებზე;
3. განთავსებული ინფორმაცია გათვლილია მხოლოდ დარგით დაინტერესებულ მომხმარებლებზე;
4. აქ არის ყველაფერი, რაც აინტერესებთ აგრობიზნესთან, ფერმერებ-

სა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ადამიანებს;

5. კომფორტული საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველი პარამეტრებით;
6. მუდმივად განახლებული ინფორმაცია მრავალრიცხოვანი მომხმარებლების მხრიდან;
7. საკუთარი პროფილის აქაუნთის მართვა – ნებისმიერ დროს სასურველი ინფორმაციის დამატება, რედაქტირება, წაშლა, სიახლეების გამოქვეყნება;
8. მუდმივად განვითარებადი და დინამიური;

9. მომხმარებლები და ვიზიტორები არ არიან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები;

10. მძლავრი პროგრამული უზრუნველყოფა და ინოვაციური სისტემები;
11. და ბოლოს, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მრავალფუნქციური აგროპლატფორმა საქართველოში.

დარეგისტრირდით და მართეთ მომავალი „აგროფეისთან“ ერთად.

**ნიკოლოზ ზაზაშვილი,**  
„აგროფეისის“ დამფუძნებელი

ახალი ბაზრები

# „ჩინეთი ქართული ღვინოსთვის ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარია“

ყველაზე დიდი რაოდენობით ქართული ღვინო ჩინეთის რეგიონებიდან ურუმჩიში იყიდება, – ამის შესახებ BM.GE-ს „მეღვინეობა ხარებას“ დირექტორმა გიორგი ეზუგბაიამ განუცხადა. მისი განმარტებით, ჩინეთის ბაზარი ყველაზე მზარდი მსოფლიოში და ამიტომ კომპანიამ შანხაიში წარმოადგენლობა გახსნა.

„ჩვენი წარმომადგენლები ჩინეთში ახორციელებენ ადგილობრივი ბაზრის კვლევას, სწორი მარკეტინგული ნაბიჯების დაგეგმვას, კლიენტებთან სწორ კომუნიკაციას, ახალი პარტნიორების მოზიდვას, იღებენ გამოფენებში აქტიურ მონაწილეობას და ეწვევიან ქართული ღვინის პოპულარიზაციას. ჩინეთი ავარჩიეთ, რადგან ის ყველაზე მზარდი ბაზარია და ვხედავთ, რომ ბოლო სამ წელიწადში ქართული ღვინის ექსპორტის დინამიკა სწრაფად მზარდია. სწორი მარკეტინგული და სტრატეგიული დაგეგმარებით. ჩვენ შევძლებთ საექსპორტო არეალის გაფართოებას. ამჟამად ყველაზე დიდი რაოდენობით ქართული ღვინო ურუმჩიში იყიდება“ – განაცხადა გიორგი ეზუგბაიამ.

ოფისის მუშაობის შედეგად „მეღვინეობა ხარებას“ 2018 წლის ბოლომდე ჩინეთში ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას გეგმავს, ამჟამად კომპანიას საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული ღვინის 8-10% უკავია. გასულ წელს ჩინეთში დაახლოებით 5 მილიონი ბოთლი ქართული ღვინის ექსპორტი განხორციელდა.

„უკვე მეოთხე წელია ჩინეთის ბა-

ზარზე ვართ, ანუ მას შემდეგ, რაც იქ ქართული ღვინო აქტიურად გავიდა, ჩვენი რეალიზაცია ამ ბაზარზე წელიწადში 10-12%-ით იზრდება. ჩინეთში 15-17 დასახელების ღვინოს ვგზავნი. ძირითადად წითელი ღვინო მოსწონთ და 80-85% წითელი ღვინო დომინირებს ჩვენს ექსპორტში“ – გვითხრა გიორგი ეზუგბაიამ.

„მეღვინეობა ხარებას“ ასევე აქვს წარმომადგენლობა გერმანიაში და იტალიაში, საიდანაც ახორციელებს ქართული ღვინის ევროპულ ბაზარზე პოპულარიზაციას.

„ჩვენ გვაქვს ლოჯისტიკური საწყობი ქალაქ დრეზდენში, საიდანაც ვანარმოებთ ღვინის მიწოდებას ევროპაში. ასევე გვაქვს წარმომადგენლობა, საფირმო მალაზია და საწყობი იტალიაში, რაც ძალიან გვინყობს ხელს გაგზარდოთ ქართული ღვინის ცნობადობა არამარტო იტალიაში, არამედ მთლიანად ევროპაში“ – განაცხადა ეზუგბაიამ.

მისივე თქმით, ჩინეთის შემდეგ მზარდი ბაზარია პოლონეთშიც და ამ მიმართულებითაც კომპანია აქტივობის მნიშვნელოვან ზრდას გეგმავს.

„წლის ბოლომდე პოლონეთში ექ-



სპორტის 15-20%-იან ზრდას ვგეგმავთ. 2017 წელს პოლონეთში ზრდამ 5% შეადგინა, წელს კი 3-4 ჯერ მეტი იქნება. ჩვენთვის ძალიან საინტერესო ბაზარია იაპონია, სადაც ქვევრის ღვინის სწორი პოპულარიზაცია უნდა განვახორციელოთ. ასევე სტრატეგიულია ამერიკის და კანადის ბაზრები, სადაც ექსპორტის ზრდის კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას ვგეგმავთ“ – დასძინა გიორგი ეზუგბაიამ.

„მეღვინეობა ხარებას“ ამჟამად წელიწადში 6 მილიონ ბოთლ ღვინოს აწარმოებს. აქედან 20-25% ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, დანარჩენი კი ექსპორტზე 20 ქვეყანაში გადის. ძირითადი ბაზრებია რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, ყაზახეთი და პოლონეთი. კომპანიის პორტფელში 52 დასახელების ღვინოა, რომელიც 26 ვაზის ჯიშებიდან არის წარმოებული.

ავტორი: **მამა პინაძე,**  
წყარო: [www.bm.ge](http://www.bm.ge)

# ღვინის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება მსოფლიოში: რეალიზი და განვითარების პერსპექტივები

• ღვინის მსოფლიო ბაზრის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

ბოლო 60 წლის მანძილზე აღინიშნება ღვინის მარკეტინგის უკიდურესად დაბალი ეფექტიანობა (თუმცა, გასაგებია, რომ ის წყვეტს თავის ამოცანებს – უზინარეს ყოვლისა უზრუნველყოფს საუკეთესო ღვინოების ფასების ზრდით).


ბოლო 60 წლის განმავლობაში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნილებაც. სიტუაციის ილუსტარიისათვის მოვიყვანთ ციფრებს:

– ლუდის წარმოება და მოხმარება ბოლო სამოცი წლის მანძილზე გაიზარდა 4-ჯერ;

– მაგარი ალკოჰოლური სასმელების მოხმარება მინიმუმ – 1,5-ჯერ;

– ღვინის მოხმარება (და წარმოება) კი ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ეს პროცესები მთლიანად ემთხვევა დროში დასავლეთის ქვეყნებში განვითარებული სამომხმარებლო საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდს. ციფრები თავს გვახვევენ აზრს იმის შესახებ, რომ ევროპული კულტურის



ქვეყნებში მოხდა ინტერესის გარკვეული ინდიფერენტულობა ღვინოპროდუქციის მიმართ.


ღვინის მსოფლიო მარკეტინგი აკეთებს ღვინის მოყვარულებზე აქცენტს, რომელთაც შეუძლიათ კარგი ფული გადაიხადონ ღვინოში. ღვინის მარკეტინგის ასეთი მუშაობისას მსოფლიოში ღვინოს – ლუდისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების ფონზე – არა აქვს მზარდი მომავალი. ყველაზე კარგ შემთხვევაში, ღვინის

მსოფლიო მოხმარება მოსახლეობის ზრდის კვალობაზე წელიწადში 2,7 მლრდ დეკალიტრის დონეზე დარჩება, ხოლო ბაზრის ფინანსური მოცულობის ზრდა ღვინის პრემიუმ სეგმენტის წარმოებისა და ფასების ზრდის ხარჯზე გაგრძელდება, როგორც ეს ბოლო 60 წლის მანძილზე ხდებოდა (ღვინის ბიზნესი კმაყოფილი იყო ფინანსური შედეგით, ფიზიკური მოცულობის შენარჩუნების შემთხვევაშიც).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ღვინის ახალი სამყაროს წილის ზრდის ტენდენცია აღინიშნება. ფასების პოლიტიკის, ყოვლისმომცველი მარკეტინგული სტრატეგიის, მსოფლიო ტრენდების ცოდნის, ტექნოლოგიურობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების გამართივებული სისტემის წყალობით მეღვინეობის ახალ ქვეყნებში. ბოლო 10 წლის მანძილზე ამ ქვეყნებმა დაიკავეს ბაზრის 40% და სერიოზული კონკურენცია შეუქმნეს ევროპული ღვინის კონსერვატიულ მწარმოებლებს.

### ბაზრის ლიდერები

2015 წლის შედეგებით ღვინის წარმოების მოცულობის მხრივ იტალიამ



მსოფლიო ლიდერის სტატუსი დაიბრუნა და ამ მაჩვენებლით საფრანგეთს გაუსწრო. იტალიური ღვინოების წარმოების მოცულობამ შეადგინა 49 მლნ ჰექტოლიტრი, რაც 10%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.


მესამე ადგილი უკავია ესპანეთს – 36 მლ ჰექტოლიტრზე მეტი ღვინო წელიწადში.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ღვინის ბაზარი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება.

**ვენახების საერთო ფართობი. ცვლილებების დინამიკა**

2014 წლის მონაცემებით, ვენახების ქვეშ ათვისებული მიწის საერთო ფართობმა შეადგინა 7,2 მლნ ჰექტარი (ეს მეტია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიის ფართობი). ვენახების ფართობების ზრდა უჩვენებს დადებით დინამიკას ბოლო 3 წლის მანძილზე, ამასთან, მაგალითისათვის, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, რომელთა ტერიტორიებზე განთავსებულია მსოფლიოს ვენახების 33%, ეს ფართობები მცირდება ან იზღუდება. აქ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არა მოსავლიანობის ზრდა, ღვინის მოცულობის გადიდება, არამედ პირველ რიგში – პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების ეფექტურობის ზრდა.

ევროპისაგან განსხვავებით, მეღვინეობის ახალ ქვეყნებში შეინიშნება წარმოების ზრდისა და ვენახების ტერიტორიის გაფართოების ტენდენცია. ასე, მაგალითად, 2014 წელს ჩინეთი გახდა ვენახების ქვეშ განთავსებული მიწების რაოდენობის მხრივ მეორე ქვეყანა და 2011 წელთან შედა-



რებით მეღვინეობისათვის განკუთვნილი ეს ტერიტორიები გაზარდა 34%-ით. ჩინეთის ვენახების საერთო ფართობმა 790 ათასი ჰექტარი შეადგინა (მსოფლიოს ვენახების 11%).

**ღვინის მოხმარება**

ღვინის მსოფლიო მოხმარებამ წელიწადში 246 მლნ ჰექტოლიტრი (32,8 მლრდ ბოთლი) შეადგინა. ღვინის მოხმარება ძირითადად იზრდება აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ბაზრებზე. მოსახლეობის საშუალო კლასის ზრდის კვალობაზე ჩინეთში ღვინო სულ უფრო პოპულარული პროდუქტი ხდება. მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყანაში ღვინის იმპორტი დაჩქარებული ტემპებით გაიზრდება.

აშშ აგრძელებს აბსოლუტური ლიდერის პოზიციის შენარჩუნებას ღვინის საერთო მოხმარების მხრივ. 2014 წელს აქ იმპორტირებულ იქნა 32 მლნ ჰექტოლიტრი ღვინო, რაც 3%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

ღვინის მოხმარების რეიტინგში საფრანგეთს უკავია მე-2 ადგილი. აქ

წელიწადში მოიხმარება 27 ჰექტოლიტრი ღვინო (3,7 მლრდ ბოთლი). აქ, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, აღინიშნება ღვინის მოხმარების ვარდნა. უპირველეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან და ქვეყნის ეკონომიკის გაუარესებასთან.

მე-3 ადგილი დაისაკუთრა გერმანია, რომელმაც ღვინის მოხმარებით გაუსწრო იტალიას. გერმანიის მიერ შესყიდული ღვინის მოცულობამ შეადგინა 22 მლნ ჰექტოლიტრი, რაც 8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

**• კონიაკის გაყიდვებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს მსოფლიოში და შემცირდა რუსეთში**


ფრანგული კონიაკის გაყიდვებმა 2015 წელს მიაღწია რეკორდულად მაღალ დონეს და შეადგინა 2,6 მლრდ ევრო. ნატურალურ გამოსახულებაში 2015 წელს გაიყიდა 169 მლნ ბოთლი – 8,5%-ით მეტი წინა წელთან შედარებით.

ფრანგული კონიაკის გასაღების ძირითადი ბაზრები გახდა აშშ, (65 მლნ ბოთლი), სინგაპური (24,3 მლნ) და ჩინეთი (18,3 მლნ). ამასთან, რუსეთში გაყიდვები 2-ჯერ შემცირდა.

მოთხოვნილების ზრდის გამო, შედარებით უფრო ძვირადღირებული სეგმენტის (მომწიფებული კონიაკი) ზრდამ 15% შეადგინა. მწარმოებლები შიშობენ, რომ ვერ შეძლებენ მთლიანად დააკმაყოფილონ მოთხოვნილება.

**• რუსეთის არყის ბაზრის მიმოხილვა**

მთელ მსოფლიოში არაყი წარმოადგენს პოპულარულ მაგარ ალკოჰოლურ სასმელს. ყოველწლიურად მოიხმარება 7-8 მლრდ ბოთლი ლევა-



ლურად წარმოებული არაყი, საერთო ღირებულებით 45 მლრდ აშშ დოლარი. რუსეთზე მოდის არყის მსოფლიო მოხმარების 35% ნატურალურ გამო-სახლებაში.


საყოველთაოდ მიღებული არყის ბაზრის სეგმენტაციის შესაბამისად, პროდუქცია ღირებულებით 1,7 აშშ დოლარამდე მიეკუთვნება მასობრივ, სახალხო სეგმენტს, 1,7-დან 3,3 დოლარამდე – საშუალო ფასის სეგმენტს, 3,3 დოლარზე ზევით მოდის ძვირად ღირებულ სეგმენტზე. ექსპერტების აზრით, არყის სახალხო სეგმენტებზე დღეს მოდის ფიზიკური მოცულობის 70%, საშუალოფასიან სეგმენტზე – 25-26%; და მხოლოდ 2% მოდის ძვირადღირებულ სეგმენტზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ერთ სულ მოსახლეზე არყის მოხმარების გრაფიკი (2012 წლის მონაცემები). – <http://www.dailymail.co.uk/news/article-2344040/Global-consumption-spirits-clim-bing-thanks-Chinas-thirsty-middle-classes-Russia-leads-way-vodka.html>.

რუსეთში იმდენი არაყი მოიხმარება, რამდენიც მთელ დანარჩენ მსოფლიოში ერთად აღებული. ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებითაც რუსეთი ასევე პირველ ადგილზე დგას (13,9 ლიტრი კაცზე). და ამ მაჩვენებლით ოდნავ უსწრებს ბელარუსს (11,3 ლიტრი კაცზე), და დაახლოებით ორჯერ აღემატება უკრაინასა და პოლონეთს.

**• ვისკი დვენის არაყს ლიდერების რიცხვიდან მაღალი ალკოჰოლური სასმელების მსოფლიო ბაზარზე**

უახლოესი 5 წლის მანძილზე ვისკის გაყიდვები მსოფლიო ბაზარზე გადააჭარბებს არყის გაყიდვებს. ექსპერტე-



ბის გაანგარიშებით, უკვე 2018 წელს მსოფლიოში გაიყიდება 3,5 მლრდ ლიტრი ვისკი, რაც 17%-ით მეტია 2013 წელთან შედარებით მაშინ, როდესაც არყის გაყიდვების მოცულობა შემცირდება 3,428 მლრდ ლიტრამდე.

არყის მწარმოებლების პოზიციების გაუარესება გლობალურ ბაზარზე ძირითადად გამოწვეულია ამ სასმელის გადასვლით ჩრდილოვან სექტორში გასაღების ძირითად ბაზრებზე – რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში, არყის ძირითადი მოხმარება კი იზრდება და მომავალშიც გაიზრდება.

სხვათა შორის, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სასმელად რჩება არყის ჩინური ანალოგი დასახელებით **ბაიცზიუ**, რომელიც მზადდება სიმინდის, ხორბლის, სორგოსა და სხვა მარცვლოვნებისაგან, ამ სასმელზე დღეს მოდის მაგარი ალკოჰოლური სასმელების გაყიდვების მეოთხედი.

**რა მოეწოდება ალკოჰოლის მსოფლიო ბაზარს ახლო მამაკალში?**

ალკოჰოლური სასმელების ბაზარი უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე

ეს იყო პროგნოზირებული. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა იძლევა თავის ნაყოფს: ახალი თაობა ამჯობინებს იყოს სპორტული, ჯანსაღი და ლამაზი.

მაგრამ ალკოჰოლური ბაზრის მოთამაშეები აგრძელებენ ბრძოლას თავისი მომხმარებლებისათვის.


როგორ, რანაირად და რამდენად ეფექტურად? აქ მოვიყვანთ ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო ცენტრის (AWCR) მიერ შემჩნეულ ზოგიერთ ტენდენციებს.

**ალკოჰოლში – ნაკლები ალკოჰოლი.** მეღვინეები ცდილობენ დაამზადონ ნაკლებად ალკოჰოლიანი ღვინოები, კოქტილებში არაყსა და ჯინს ცვლიან ნაკლებად მაგარი პორტოთი, ხერესითა და ვერმუტით. ტრენდი გასაგებია: მომხმარებელი წინააღმდეგი არ არის განიტვირთოს, მაგრამ ის სშირად ზის საჭესთან, სვალისთვის ელოდება გადაუდებელი საქმეები და არავის არა აქვს იმის სურვილი, რომ გაიღვიძოს „მძიმე თავით“. მენარმეები, ალკოჰოლის მწარმოებლები ცდილობენ ანგარიში გაუწიონ კლიენტს გრადუსის შემცირებით. ზოგჯერ – ნულამდე.

მსოფლიოში პირველი უალკოჰოლო სპირტიანი სასმელი (ინგლისურად Sidli) ზემორობად ეჩვენებოდათ, სანამ 2016 წელს ალკოჰოლური ინდუსტრიის გიგანტმა Diageo-მ არ მოახდინა ამ start-up-ში ინვესტირება. წელს მეორე ალკოჰოლურმა გიგანტმა Costalashen Brendz-მა შეისყიდა კანაფის კანადური მწარმოებლის (Kanopi grows) აქციების ნილი და დაგეგმილი აქვს გამოუშვას სასმელები მარიხუანის დამატებით. ამასთან, ის თვლის, რომ მალე მარიხუანა გახდება ლეგალური აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე.

**მოდამია გაუფილტრავი და ცქრიალა.** არა მარტო ლუდის, არამედ მაღალალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლები ახდენენ სათავეებისკენ დაბრუნებას. გამჭვირვალობა უკვე არ წარმოადგენს სასმელის ხარისხის ნიშანს. ალკოჰოლური სითხეების სიმღვრივე (შებურულობა) მონაწილე მისი შემქმნელის სურვილს შეინარჩუნოს სასმელის ნატურალური გემო და არომატი.

**მეორე ტენდენცია – ბუმბუტულები.** რამდენადაც მომხმარებელი სულ უფრო მგრძნობიარეა პროდუქტე-



ბის ნატურალური ინგრედიენტების მიმართ, ყურადღებას აქცევს მასში შაქრისა და კალორიების შემცველობას, მენარმეები თავის ძალისხმევას მიმართავენ ტექსტურაზე და CO<sub>2</sub> საამისოდ წარმოადგენს მარტივ და იაფ მეთოდს სასმელის მახასიათებლის კარდინალურად შესაცვლელად. იმდენად ღვინოების ბაზარზე გრძელდება „ცქრიალა ბუმი“ – ცქრიალა ღვინოების მოხმარება იზრდება ღვინის ძირითად ბაზრებზე და, ეტყობა, ეს მოდა ხანგრძლივ დროზეა გათვლილი.

ასე რომ, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ამ ტენდენციას ფეხს აუწყობენ სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები და მომავალში სულ უფრო ხშირად გამოჩნდება გაზირებული ჯინი, ბრენდი და კოქტეილები.


**ლუდი ხდება კონსერვატორების სასმელი.** მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ალკოჰოლურ სასმელად კვლავ რჩება ლუდი, მაგრამ მისი მოხმარების ზრდა უახლოესი 5 წლის მანძილზე არ ასცდება 1%-ს წელიწადში. რატომღაც, ბოლო წლებში მას არ სწყალობენ რუსეთში (წარმოება დაეცა 12%-ით) და ჩინეთში (6%-ზე მეტი ვარდნა).

გაცილებით უკეთეს დინამიკას დაბალალკოჰოლური სასმელების სეგმენტში უჩვენებენ დაბალალკოჰოლიანი მიქსები (ზრდა 2% წელიწადში) და სიდრი (3,8%).

**ღვინო – ვარდისფერი, ცქრიალა და დაბალალკოჰოლიანი.** ღვინის მსოფლიო მოხმარება შეადგენს ალკოჰოლის ბაზრის 16%-ს და ფაქტიურად ადგილზე დგას.

ვარდისფერი ღვინო მოდში დარჩება აშშ-ში და განაგრძობს ახალი ბაზრების დაპყრობას. ასევე შენარჩუნდება მოდა ცქრიალა ღვინოებზე. ამ სეგმენტში უდავო ლიდერად რჩება იტალიური პროსეკო. მკაფიო მაგალითი: 2010 წელს დიდ ბრიტანეთში პროსეკოს გაყიდვებმა შეადგინა შამპანურის გაყიდვების მოცულობის 10%. მოსალოდნელია, რომ 2020 წელს გაიყიდება 3-ჯერ მეტი პროსეკო შამპანურთან შედარებით.


სხვათა შორის, ცქრიალა ღვინოები შეადგენენ ღვინის მსოფლიო მოხმარების მხოლოდ 10%. ჩვენს პლანეტაზე ყველაზე უფრო უყვართ წითელი ღვინოები: მსოფლიო ბაზრის 54%, თეთრი – 37%.




**მაგარი ალკოჰოლი.** მაგარი ალკოჰოლური სასმელების ბაზარი სხვადასხვა სიჩქარით ვითარდება. მის სულ უფრო დიდ ნაწილს იკავებენ ნაციონალური ბრენდები. ასე მაგალითად, ყველაზე უფრო გაყიდვადი ალკოჰოლი გახდა სამხრეთკორეული სოდჯი (მარკა jinro), რომელიც ფაქტიურად უცნობია ევროპაში

ექსპერტთა აზრით, ყველაზე ნათელი მომავალი უახლოეს 5 წელიწადში ელოდება ვისკის (განსაკუთრებით ამერიკულს, ტეკილასა და ჯინს) – ამ სასმელების გაყიდვები გაიზრდება წელიწადში 3%-ზე მეტად. კონიაკების პროგნოზირებული ზრდა შეადგენს 2,7%-ს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თავის სამშობლოში კონიაკები კარგავენ პოპულარობას.

**ნაციონალური თვითშეგნების კომერციული ძალა.** ტრადიციული მაგარი სასმელები, ალბათ, ყველა ქვეყანაშია. ისინი ინარმოება ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით და ამიტომ შეიძლება სხვა ქვეყნის მომხმარებლებს ეგზოტიკურ სასმელებადაც მოეჩვენოს, მაგრამ თუ მწარმოებლების უმრავლესობამ ისწავლა თავისი ქვეყნის მომხმარებლისათვის უფრო ხარისხიანი სასმელების შექმნა, ვიდრე ეს გლეხური ჭაჭის არაყია, ამათგან უმრავლესობა დარჩა ნაციონალური ბაზრის ზღვრებში და ვერ მოახერხა საერთაშორისო ბაზარზე გასვლა. თავისი ადგილის მოპოვება მსოფლიო ბაზარზე შეძლეს იაპონურმა საკემ, ფრანგულმა კალვადოსმა, მექსიკურმა ტეკილამ.






იგივე მოახერხა გრაპამ – იტალიურმა ჭაჭის არაყმა – ბოლო ათწლეულებში. ამ სასმელმა მოახერხა „უბრალო ხალხის უბრალო სასმელის“ კატეგორიიდან მაღალრეიტინგულ სასმელებში გადასვლა და გაჩნდა ძვირადღირებული რესტორნების მენიუს კოლექციური ღვინოების რიგში.

გრაპას პოპულარობის გაზრდისა და მსოფლიო ბაზარზე მისი წარმოქმნის მიზნით იტალიაში შეიქმნა სპეციალიზირებული გრაპას ინსტიტუტი, თავისი 6 ფილიალით იტალიის დიდ ქალაქებში. ინსტიტუტი ემსახურება გრაპას ბაზრების მოპოვებასა და დაცვას, ამ სასმელის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას.


**• უალკოჰოლო სასმელების ბაზარი: ტენდენციები და პერსპექტივები**

უალკოჰოლო სასმელების სეგმენტი შეადგენს სასმელების მსოფლიო ბაზრის 1/3-ს, ხოლო კიდევ 1/3 შეადგენს ცხელი სასმელები. დარჩენილ

ნაწილს თანაბრად ინანილებენ რძისა და ალკოჰოლური სასმელების ბაზრები.



მსოფლიოში უალკოჰოლო სასმელების უმსხვილესი მომხმარებელია აზიის რეგიონი, რომელიც მოიხმარს წარმოებული სასმელების 1/4-ს. წარმოებუ-



ლი უალკოჰოლო სასმელების 20-20% მოიხმარება ჩრდილოეთ ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თავის მხრივ, მსოფლიოში წარმოებული უალკოჰოლო სასმელების მთლიანი რაოდენობის 10% მოიხმარება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

უალკოჰოლო სასმელების რუსეთის ბაზარი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო დინამიურ და მსხვილ ბაზრად და Evromonitor international-ის სპეციალისტების შეფასებით, იკავებს მე-10 ადგილს.

ქვემოთ მოყვანილია აშშ-ს უალკოჰოლო სასმელების ბაზრის მონაცემები.

**რუსეთის წვენიების ბაზრის მიმოხილვა**

2007 წლის მონაცემებით წვენიების რუსეთის ბაზარს მსოფლიოში დაკავებული ჰქონდა მე-6 ადგილი. Evromonitor international-ის პროგნოზების თანახმად, 2010 წლისთვის რუსეთი გადავიდა მე-3 ადგილზე, აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ნექტარების წარმოების მხრივ რუსეთი უკვე წარმოადგენს მსოფლიო ლიდერს.

მნიშვნელოვანი მოცულობის მიუხედავად, რუსეთის წვენიების ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო დინამიურს მსოფლიოში – 2007 წ. მისმა ზრდამ ნატურალურ და ფასობრივ (ღირებულებით) გამოხატულებაში შესაბამისად შეადგინა 8,1 და 16,7%. ამ ბაზარზე შეიძლება გამოვყოთ ორი მსხვილი სეგმენტი – ე.წ. 100%-იანი წვენიები და ნექტარები. ამ სეგმენტების საბაზრო წილები ღირებულებით გამოსახულებაში შესაბამისად შეადგენენ 46,4 და 48,6%-ს.

2007 წ. გაზირებული სასმელებისა და ბოთლში ჩამოსხმული სასმელი წყლის სეგმენტებს ეკუთვნოდა ყველაზე დიდი წილი უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე. (იხ.სურ).

ამ სეგმენტებს ოდნავ ჩამორჩება ხილისა და ბოსტნეულის წვენიები – მათ წილზე მოდის ბაზრის 28%. ცივი ჩაის სეგმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ის ახდენს განვითარების პოზიტიურ დინამიკას, სულ შეადგენს 1%.

**წვზარ პალაუშკინა,**  
კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი



# ღვინისა და სასმელის წარმოების პერსპექტივები საქართველოში

**გასულ წლებში საქართველოს აბროსამრეწველო კომპლექსის სფეროში წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი იყო: ყურძნის ღვინო – 22 მლნ ლიტრი, 20-22 მლნ ზოთლი კონიაკი. ძველანა ასევე ახლანდა ნატურალური წმენვისა და ნექტარის ექსპორტს.**

ყველაფერ ამას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საქართველოს ეკონომიკაში – ეროვნული შემოსავლის 40-50% მოდიოდა კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაზე. დარგი უზრუნველყოფილი იყო სათანადო სანედლეულო ბაზით, რომელიც მოიშალა, და ეს ქვეყანაში არსებული სოციალური დაძაბულობის, სოფლის მოსახლეობის თბილისსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მასიური მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობა მოითხოვს გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული ნედლეულის რესურსების ამოქმედებას და მათგან მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების შექმნას.

საამისოდ გასულ წლებში საქართველოს აბროსამრეწველო კომპლექსში ფუნქციონირებდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამათგან მეცნიერების სფეროში ჩატარებულ გაუზარებელ რეფორმებს გადაურჩა მხოლოდ ერთი – კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც უნდა იტვირთოს კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების მეცნიერული უზრუნველყოფის მისია.

ქვემოთ მოგვყავს ინსტიტუტის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების ნუსხა, რომელთა რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოებული პროდუქციის ხარისხს, უზრუნველყოფს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

## ტიქნოლოგიის დასახელება:

**„ნაკლებად დაჟანგული სუფრის ღვინოების წარმოება“**

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს ინტენსიური გამოკვლევები ნაკლებად დაჟანგული ღვინო-

ების მისაღებად. ამ ტიპის ღვინოები განეკუთვნება უმაღლესი კატეგორიის ღვინოებს, რომელთა ფართომასშტაბიანი წარმოება დღემდე ფერხდება შემოთავაზებული ტექნოლოგიური სქემების სირთულის გამო. კერძოდ, ასეთი ტექნოლოგია მოითხოვს პროცესის წარმართვას მაღალი წნევის ქვეშ, რაც ართულებს პროცესებს. გარდა ამისა არსებული ტექნოლოგიით მიღებული ღვინოები ხასიათდება მიკრობული დაავადებებისადმი მიდრეკილებით.

ჩვენს მიერ შექმნილი ნაკლებად დაჟანგული ღვინოების მიღების პრინციპულ ახალი ტექნოლოგია შეიძლება რეალიზებულ იქნეს როგორც დღეს არსებულ მინისზედა ჭურჭლებში, ასევე ქვევრში, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ქართული ღვინოების ასორტიმენტი, გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

## ტიქნოლოგიის დასახელება:

**„ჭაჭის არყის დამზადების ახალი ტექნოლოგია“**

ჭაჭის არაყი, ანუ „ჭაჭა“ ქართული კულტურის ისეთივე ნიშანია, როგორც კახური ტიპის ღვინო. ინსტიტუტის წინადადებით პარლამენტის დონეზე დაკანონებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისას „ჭაჭა“-ს ყველა მონაცემი აქვს იქცეს ისეთივე სახელგანთქმულ სასმელად, როგორცაა იტალიური „გრავა“.


გასულ წლებში საქართველო აწარმოებდა 20-22 მლნ ზოთლ „ქართულ კონიაკს“. დღეს არსებული კანონის შესაბამისად ამ პროდუქციის წარმოება საქართველოს ეკრძალება, „ქართული ბრენდი“-ს დასახელებით კი ეს სასმელი, როგორც ეს ბოლო 20-25 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, ვერ ჰპოვებს თავის ადგილს ვერც ევროპის და ვერც ამერიკის ბაზრებზე.



შექმნილ მდგომარეობაში ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ქართული ჭაჭის არყის წარმოების ახალი ტექნოლოგიის ფართომასშტაბიანი დანერგვა და ამ დასახელების მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის ფართო ასორტიმენტის შექმნა.

ამ გზას გასული საუკუნის 80-იან წლებში დაადგა იტალია და ის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს ჭაჭის არაყს „გრავა“, რომელიც თავისი ხარისხით ტოლს არ უდებს არც კონიაკს და არც ვისკის. ამ შედეგს იტალიელებმა უმოკლეს ვადაში მიაღწიეს იმის გამო, რომ აქ საამისოდ შეიქმნა სპეციალიზირებული გრავას (ჭაჭის არყის) ინსტიტუტი, თავისი 6 ფილიალით იტალიის მსხვილ ქალაქებში, რომელიც ემსახურება ამ ტიპის სასმელის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეს, მოიძიებს გასაღების ბაზრებს და იცავს იტალიურ სასმელებს ამ ბაზრებზე. საქართველოში წარმოებული ჭაჭის არყის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით, კვების მრეწველობის ინსტიტუტთან შეიქმნა სპეციალიზირებული დეპარტამენტი, რომელიც დასაქმდება ქართული ყურძნისეული წარმოების ალკოჰოლიანი სასმელების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოკვლევით, აპრობაციითა და ქვეყნის მასშტაბით მათი შემდგომი გავრცელებით, რაც პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს ვანარმოთ 250-300 მლნ ევროს ღირებულების საექსპორტო პროდუქცია.

ჭაჭის არყის მიღების ჩვენს მიერ დამუშავებული ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს მთლიანი ყურძნის



სურ. 1. ქვევრის ჭაჭის არყის მიღების ტექნოლოგიური პროცესის სქემა: 1 – კლერტგამცლელ-დამქუცმაცებელი დანადგარი; 2 – ქვევრი; 3 – გამოსახდელი აპარატი; 4 – უალკოჰოლო ღვინის შემკრებები; 5 – ნედლი სპირტის დასაძვლებელი კასრები

გადამუშავებას ჭაჭის არყის მისაღებად, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი, გაიზარდოს მისი ხარისხი.

ქვემოთ მოყვანილია ტექნოლოგიური პროცესის სქემა.

ყურძნის ქართული არყის (ჭაჭის) მიღების ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს თეთრი (წითელი) ყურძნის კახური წესით გადამუშავებას (ტკბილის დურდოზე დუღილი და დავარგება) და მიღებული დავარგებული დურდოს ან მისგან გამწვანებული ღვინომასალის გამოხდას.

საჭიროა ხაზი გაესვას იმასაც, რომ ჭაჭის არყის მიღების იტალიელების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები, რომლებიც ითვალისწინებენ ჭაჭის არყის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების კონიაკის მაჩვენებლებთან დაახლოებას, პირველად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, გამოკვლეულ და დამუშავებულ იქნა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მხოლოდ 80-იან წლებში დაიწყო იტალიელებმა ახალი ტექნოლოგიით ჭაჭის არყის წარმოება. ამასთან, ქართული ტექნოლოგია იტალიურისაგან განსხვავდება იმით, რომ ის საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტი იტალიურთან შედარებით.

პარლამენტის მიერ დაკანონებუ-

ლი ჭაჭის არყის ახალი ტექნოლოგია საკმაოდ დემოკრატიულია კონიაკის ტექნოლოგიასთან შედარებით: ეს სასმელი შეიძლება იყოს არომატიზირებული ნატურალური არომატიზატორების გამოყენებით. ის შეიძლება გავაკეთოთ მხოლოდ თაფლის გამოყენებით და ა.შ., რაც იძლევა მიზნობრივი პროდუქტის ასორტიმენტის გაფართოების დიდ შესაძლებლობებს.

**ტიქნოლოგიის დასახელება: ყურძნის გადამუშავების კოვალენტური ტექნოლოგია**

ტექნოლოგია ითვალისწინებს კახური წესით თეთრი (წითელი) ყურძნის გადამუშავებას, ანუ ტკბილის დურდოზე დუღილს, დადუღებული დურდოდან თვითნადენი ფრაქციის გამოყოფას და მის დაძვლებას, ხოლო სველი ჭაჭიდან დისტილატის გამოხდას და მის გამოყენებას ჭაჭის არყის დასამზადებლად.

ალკოჰოლური დუღილის პროცესში მიმდინარეობს დურდოს აერაცია თხევადი ფაზის ცირკულაციით, ღვინომასალის წინასწარი დამწვანების უზრუნველსაყოფად.

მაშასადამე, ახალი ტექნოლოგიის შესაბამისად ალკოჰოლური დუღილის პროცესში მიმდინარეობს მადულარი მასის მუდმივი აერაცია. ღვინის მისაღებად გამოიყენება მხოლოდ თვითნადენი ფრაქცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მიღებული ღვინის ხა-

რისხს, ხოლო ნაწინები ფრაქციებიდან მიიღება ჭაჭის არაყი, რაც ასევე აუმჯობესებს ამ უკანასკნელის ხარისხს.

რაც შეეხება უალკოჰოლო სასმელებს, ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს შეუძლია აწარმოოს მანდარინის არასტანდარტული ნაყოფებით 100-150 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო პროდუქცია დაბალმოლეკულური პექტინით გამდიდრებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელების სახით, 50-60 მილიონი დოლარის ღირებულების უალკოჰოლო ღვინო და ა.შ.

ბუნებრივად იბადება კითხვა – არსებობს თუ არა საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი გარემო? პასუხი ცალსახაა – პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც დააინტერესებდა მენარმეს დანერგოს თავის საწარმოში ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიები.

**ინოვაციური ტექნოლოგიების შიქმნისა და რეალიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირება**

ბოლო 20-25 წლის მანძილზე არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსში, არამედ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრი ვარდნა. უცხოური ტექნოლოგიებისადმი ფართო და თავისუფალი მისაწვდომობა თრგუნავს აგროსამრეწველო კომპლექსში ნაციონალური ინოვაციური პოლიტიკისა და დარგობრივი მეცნიერების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ქმნის უცხოური მიღწევებისადმი ტექნოლოგიური დამოკიდებულების წარმოშობის საშიშროებას.

ინოვაციური აგრარული ეკონომიკის ფორმირება ხდება მაშინ, როდესაც აგროსამრეწველო წარმოება ძირითადად ეფუძნება ინოვაციურ ტექნოლოგიებს, მაგრამ ინოვაციების განვითარების ყველა ქვეყნისათვის მისაღები ერთიანი სტენარი არ არსებობს, რის გამოც თითოეული ქვეყანა ეძებს მსგავსი ამოცანების გადაჭრის საკუთარ მიდგომებს.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში პრაქტიკულად არ არის ჩამოყალიბებული აგროსამრეწველო კომპლექსში ინოვაციური მოღვაწეობის ხელშემწყობი რაიმე სისტე-

მა, არ არსებობს არანაირი პრობლემა ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის, ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობას.

მსოფლიოს ნამყვან, ასევე პოსტ-საბჭოურ ქვეყნებშიც სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენება შეუძლებელი იქნება კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე აგროტექნოპარკების შექმნის გარეშე.

**აგროტექნოპარკი** – ესაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, შექმნილი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1961 წლიდან ემსახურებოდა და ემსახურება კვების მრეწველობის დარგების (ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხორცისა და რძის, პურისა და პურ-პროდუქტების, საკონსერვო მრეწველობის, ეთეროვანი ზეთებისა და ბიოაქტიური ექსტრაქტების და ა.შ.) მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეს. ყოფილ სსრ კავშირში ის ასრულებდა სათავო სამეცნიერო ორგანიზაციის ფუნქციას ნატურალური საკვები დანამატების (საღებავები, არომატიზატორები) შექმნისა და წარმოების სფეროში.

ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი ტექნოპარკის („GFI“) ასამოქმედებლად და საამისოდ ინვესტორების მოსაზიდად ინსტიტუტს დამუშავებული აქვს ზემოთ ჩამოთვლილი ინოვაციური ტექნოლოგიები და მათი რეალიზაციისათვის საჭირო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები.

**რას ნიშნავს ტექნოპარკის არსებობა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექნოპარკის ფუნქციონირების ძირითადი მიზანია რეალური გახადოს ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების დარგში დანერგვის საკითხი: ინსტიტუტს ექმნება ყველა პრობლემა შექმნას სიახლეები, მოახდინოს მათი სამრეწველო მასშტაბით

წარმოება და ბაზარში გავსლა. როდესაც მენარმე დარწმუნდება ახალი ტექნოლოგიის პერსპექტიულობაში, ის იყიდის ახალ ტექნოლოგიას ინსტიტუტისაგან. მენარმეს თვითონ შეუძლია გახდეს ტექნოპარკის წევრი: ის აკეთებს განაცხადს ინსტიტუტში მის მიერ შექმნილი ახალი ტექნოლოგიის შესახებ და მოითხოვს ჩააყენოს ეს მისი ახალი ტექნოლოგია ტექნოპარკის რეჟიმში. ინსტიტუტთან არსებული სპეციალიზირებული საბჭოთა სცნობს სიახლედ მენარმის მიერ შემოთავაზებულ ტექნოლოგიას, ის თავისი ზედამხედველობით 5 წლის მანძილზე სანარმოს ამ ტექნოლოგიას ჩააყენებს ტექნოპარკის სპეციალურ რეჟიმში, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტექნოლოგიაზე გავრცელდება სიახლის დასაწინააღმდეგებელი აუცილებელი ქვემოთ მოყვანილი შეღავათები.

**აბროტიმნოპარკის (GFI) ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები:**

- სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება;
- იმ მეცნიერ-მუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ხელშემწყობი სასტარტო პრობლემების შექმნა, რო-


მელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამენარმეო საქმიანობა;

● უკვე არსებული მცირე და საშუალო საინოვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პრობლემით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

● კოოპერატივებისაგან განსხვავებით, ტექნოპარკისათვის ძირითადია პრინციპი – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები არ უნდა ენეოდნენ პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ დამატებით რისკებს. მეურნე რჩება თავის სახლში, თავის მეურნეობაში. გლესს (მეურნეს) არ სჭირდება საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, კრედიტების აღება. მის მიერ საკუთარ მეურნეობაში წარმოებულ პროდუქტსა თუ ნახევარფაბრიკატზე ანგარიშსწორება ხდება ადგილზე – პროდუქციის ჩაბარებისთანავე.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

1. ყურძნის გადამამუშავების შედეგად ყოველწლიურად წარმოიშობა თხევადი და მყარი ნარჩენები საწყისი ნედლეულის 20-25 %-ის ოდენობით, რომლებიც პრაქტიკულად არ გამოიყენება და აბინძურებს გარემოს. საქართველოს კვების მრეწველობის



სურ.2. ჭაჭის არყის მიღების კომპლექსური ტექნოლოგია  
 1 – კლერტგამცლელ-დამჭუცმაცვებელი მანქანა; 2 – სადულარი ჭურჭელი; 3 – საჭაერო მილი; 4 – ტუმბო; 5 – წნეხი; 6 – სველი ჭაჭის გამოსახდელი აპარატი; 7 – ღვინის დასაძველებელი კასრები



სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა თხევადი და მყარი ნარჩენების, ასევე ნაწიხი ფრაქციების გამოყენებით მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც წარმატებით გამოიყენება როგორც საქართველოს პურის ქარხნებში, ასევე ჰოლანდიაში.

გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების, ასევე მიზნობრივი პროდუქტის – ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში უნდა აშენდეს ერთი სპეციალიზებული ქარხანა, რომელიც წარმოების ნარჩენებისა და თანამდევ პროდუქტების გამოყენებით აწარმოებს მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილ პროდუქტებს – ანტიოქსიდანტურ უალკოჰოლო ღვინოს, ნატურალურ საღებავს და პურის ნატურალურ დანამატს;

2. საქართველოში ფართოდ უნდა დაინერგოს ინსტიტუტში შექმნილი ნაკლებად დაჟანგული ღვინოების

წარმოების ქართული ტექნოლოგია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის აქ წარმოებული როგორც ევროპული, ასევე კახური ტიპის ღვინოების მოთხოვნილებას მსოფლიო ბაზარზე;

ახალი ტექნოლოგიით ყურძნის გადამუშავება საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას 3 ახალი საქსპორტო პროდუქტი – ნაკლებად დაჟანგული ღვინო, უალკოჰოლო ღვინო და ახალი ტიპის, მაღალხარისხის ხოვანი ჭაჭის არაყი, რაც აორმაგებს ერთეული ნედლეულის გადამუშავებით მიღებულ შემოსავალს.

3. ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფებიდან (მანდარინი) შეიძლება ვანარმოთ 100-150 მლნ აშშ დოლარის საქსპორტო პროდუქცია დაბალმოლეკულური პექტინით გამდიდრებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელებისა და ნატურალური საკვების დანამატების სახით.

4. ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიების გამოყენებით სა-

ქართველოში შეიძლება ვანარმოთ 200-300 მლნ აშშ დოლარის საქსპორტო პროდუქცია ნატურალური საკვები არომატიზატორების (ეთეროვანი ზეთები), საღებავებისა და მათზე დამზადებული ფუნქციური დანიშნულების ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების სახით;

5. საქართველოში არსებული მცენარეული ნედლეულის პოტენციური რესურსების ათვისების, მათგან კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით, სრულად უნდა აღდგეს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში ადრე არსებული 14 ინსტიტუტიდან ინსტიტუტის კოლექტივის ძალისხმევით შენარჩუნებული ერთადერთი – კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი და მის ბაზაზე შეიქმნას მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის თანამედროვე ფორმა – აგროტექნოპარკი, რომელიც უზრუნველყოფს გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში არსებული ნედლეულის რესურსების საფუძველზე ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასა და ქვეყნის მასშტაბით მათ შემდგომ გავრცელებას.

6. საინოვაციო საქმიანობის სტიმულირების მიზნით პარლამენტის მიერ მიღებულ უნდა იქნას კანონი „ტექნოპარკების საინოვაციო მოღვაწეობის სპეციალური რეჟიმის შესახებ“.

**ნუზარ კალათურია,**  
კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ქართული აზრებით

# მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივები საქართველოში

2018 წლის 26 ივლისს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც განხილული იყო ერთი საკითხი: „მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის წევრები, ნევრ-კორესპონდენტები და მოწვეული სტუმრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან,

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის აგროსერვის-ცენტრიდან; იმერეთის რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრიდან, ხონის მუნიციპალიტეტიდან, საგარეჯოს, სიღნაღის, ვანი-სა და ხონის საინფორმაციო-საკონ-

სულტაციო ცენტრებიდან, მეაბრეშუმეობის სახელმწიფო მუზეუმიდან, მეაბრეშუმე სპეციალისტების დიდი ჯგუფი ახმეტიდან, სიღნაღიდან, აჭარრიდან, თბილისიდან და სხვა.

პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ.

სხდომაზე ძირითადი მოხსენებე-

ბით გამოვიდნენ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი მეაბრეშუმეობის მიმართულებით, სსმმ აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლეიშვილი, „მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ და BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ელგუჯა შაფაქიძე – „შავი, კასპის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) როლი საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების მიმართულებით“.

სხდომაზე მოხსენებების ირგვლივ და საერთოდ საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ: – ხონის მუნიციპალიტეტის მერს ლადო ჯურხვაძეს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილეს ნოდარ ხატიამვილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსს და სამინისტროს მეაბრეშუმეობის კომისიის თავმჯდომარეს ნოდარ ხოხაშვილს, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარ სპეციალისტებს ნარგიზ ბარამიძეს და ნოდარ სტეფანიშვილს, მეაბრეშუმეებს ახმეტიდან და სიღნაღიდან ნუნუ ნახუცრიშვილს და ლამარა ბეჟაშვილს, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ნინო კუპრაძას, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის-ცენტრის დირექტორს გოჩა ბერიძეს, აკადემიის ნამდვილ წევრებს, აკადემიკოსებს ზაურ ფუტყარაძეს და ნოდარ ჭითანავას, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკად. გივი ჯაფარიძეს.

სხდომაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მეაბრეშუმეობაში შექმნილი მდგომარეობა საგანგაშოა. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქვეყანაში იწარმოებოდა 4,0-4,2 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, 4,5-5,0 ტონა გრენა, 450-500 ტონა ნატურალური აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5-5,0 მილიონი გრძივი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი და სხვა პროდუქცია. სოფლის მოსახლეობა მხოლოდ ცოცხალი პარკის

რეალიზაციიდან ღებულობდა 16,5-17,5 მილიონ მანეთს. ამასთან, დარგში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, მრეწველობაში მუშაობდა 5,5-6,0 ათასი კაცი და მეაბრეშუმეობის სამმართველოს სიტემაში – 800 კაცზე მეტი.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან თუთის დაავადება „ფოთლის სისუჭუჭის“ გამოვლინება-გავრცელების შედეგად განადგურდა 15 მილიონამდე ძირი ჯიშისანი თუთის მცენარე. ამას დამატა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სიძნელები (განსაკუთრებით სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მაღალჩინოსანთა სუბიექტური შეხედულებები – თითქოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეაბრეშუმეობას განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა); გარდამავალი ეტაპის სირთულეებმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგის – მეაბრეშუმეობის ლიკვი-

პრეზიდუმის გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას უკვე რამდენიმე წელია გამოცემული აქვს „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში“, მეაბრეშუმეობისადმი მიძღვნილი რეკომენდაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე, მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების საინვესტიციო პროექტები ხონის და ვანის რაიონებში, სამი მონოგრაფია საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის, აღდგენისა და განვითარების მიმართულებით და ა.შ.

აკადემიის ინიციატივით აჭარაში წელს მოეწყო თუთის აბრეშუმხვევიას საცდელ-საჩვენებელი გამოკვება მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ჩატარდა სწავლება და ტრენინგები მეაბრეშუმეობით დაინტერესებული მოსახლეობისათვის, განხორციელდა



დაციას. აქედან გამომდინარე, უაღრესად საშიში შედეგებით გაუარესდა ეკოლოგიური გარემო, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, დაეცა დასაქმების დონე და მასშტაბური ხასიათი მიიღო მიგრაციამ. სოფლების დაცარიელების პროცესი დღესაც ღრმავდება. მეაბრეშუმეობა, როგორც დარგი, თითქმის თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს.

მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინება რეალურად მოითხოვს შესაბამის ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბებას და ამ პროცესის დაჩქარებულ განხორციელებას საქართველოს ეკონომიკის განვითარების და ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით.

წელი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა ქართველი მეცენატის, ბატონი ჯიმშერ ჩხაიძის მიერ ქვეყნის მეაბრეშუმეობისთვის შექმნილ დანადგარზე, რომელიც დღეს აჭარაშია. აკადემიის ინიციატივით და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კეთილი ნებით, ქ. ბათუმში 2019 წლის აპრილში გაიმართება შავი, კასპის ზღვების და ცენტრალური აზიის ქვეყნების (სულ 21 ქვეყანა) მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან აგრეთვე სტუმრები აზიის და ევროპის ქვეყნებიდან და ეს კონფერენციაც საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენასა და განვითარებაზე იმსჯელებს, ვინაიდან მაღალხარისხიანი ქართული აბრეშუმის როლი მეტად დიდია ასოციაციის ქვეყნებისათვის.



აღნიშნულ კონფერენციას საქართველოს დელეგაცია სიამაყით მოახსენებს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადამწყვეტილებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ელემენტს – „ქართული აბრეშუმი“, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული აბრეშუმის მნიშვნელობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრე-

ზიდუმის გაფართოებულმა სხდომამ საჭიროდ მიიჩნია, რომ აკადემიამ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით შეადგინოს დარგის განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა (2020-2030 წწ), მოაწყოს მისი განხილვა და შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენა.

პრეზიდუმის გაფართოებულ სხდომაზე მიღებული იქნა შესაბამისი დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია ყვე-

ლა ის საკითხი, რომელიც ქართული აბრეშუმის კრიზისიდან გამოყვანის მეთოდებს და პროგრამას ეხება, როგორცაა მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის აღდგენა-განვითარება, თუთის აბრეშუმსხვევიას გენეტიკური ფონდის შენარჩუნება და განახლება, მეაბრეშუმეობის მართვის ახალი პრინციპების, ტექნოლოგიების და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების საკითხების დროულად გადაჭრა და ა.შ.

აკადემიის პრეზიდუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეთა მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-განვითარების შესახებ მიღებული დეკლარაცია გაეგზავნება საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

*აკადემიკოსი  
ელგუშა შაფაძე,*

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.*

მეფუტკრეობა

რუბრიკას უძღვება „ომავლის ფარმერია“

# „ბაზარი თითქმის მთლიანად დააყრობილი აქვს საეჭვო წარმომავლობის „თაფლს“

ზვიად სანიკიძე „ომავლის ფარმერია“ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაღავანიდან. 15 წელიწადია ფარმერულ საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული. ჰყავს 150 ოჯახი ფუტკარი. დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის სასაღმფიფო ინსტიტუტის აბრეშუმის ფაკულტეტი ფარმერული მეურნეობის მენეჯერის საეციალოებით, სადაც მეფუტკრეობას ასწავლიდა ნოდარ აბრამიშვილი, რომელიც თავს არ ზოგავდა არამარტო ესწავლებინა სტუდენტებისთვის მეფუტკრეობა, არამედ შეეცაბა რაბი-ნა კიდევც.

ზვიადის შემთხვევაშიც ასე მოხდა და სწავლის დამთავრებისთანავე სულიერი მოძღვრის, დეკანოზ პეტრეს (გიორგაძე) ხელშეწყობით მეფუტკრეობა დაიწყო. მისი თქმით, ქართულ თაფლსა და მეფუტკრეობის პროდუქტებს დიდი პერსპექტივა აქვთ და ამ დარგით დაინტერესებულთა რიცხვი დიდია. ფიქრობს, რომ დღეს ფერმერობა ნამდვილად არ არის ადვილი, რადგან ერთი ადამიანისთვის

რთულია საფუტკრეს მიხედოს, მოიძიოს ბაზარი და მიიღოს ცოდნა სიახლეებზეც...

„გამოსავალი გაერთიანება-კოოპერაციაა, საითაც ნაბიჯი წლების წინ გადავდგით და შევქმენით ს/ს კოოპერატივი „ორე ეტ ლაბორა“ (ლოცვა და შრომა), რომელიც გაერთიანებულია მეორე დონის კოოპერატივ „თაფლი საჩინოში“.



დარგში უამრავი პრობლემაა, პირველ რიგში – თაფლოვანი მცენარეების ბაზის არქონა. სადაც არის, ან სათანადო ინფრასტრუქტურა არაა მომთაბარეობისთვის, ან ტყე დაავადებულია და ხმოზა აქვს დაწყებული; სერტიფიცირებული მედიკამენტების

არასაიმედოობა, რომლებიც დატესტილი არ არის, ინსპექტირება-დაავადებების კონტროლი. სათანადო განათლება ყველაზე დიდი და ვიტყვოდი გლობალური პრობლემაა, ბაზრის ანალიზი და რეალიზაცია...

რეალიზებას ვახდენთ როგორც საბითუმო (80%), ასევე საცალო (20%) ვაჭრობით. ბიზნესი რომ განვითარდეს, აუცილებელია პროდუქცია იყოს მოთხოვნადი და გაყიდვადი. როგორც კი ქართულ ბაზარზე თავლზე მოთხოვნა გაიზარდა, მოიმატა ფალსიფიკაციამ და დღეს თითქმის მთლიანი ბაზარი დაპყრობილი აქვს საეჭვო წარმომავლობის „თაფლს“, რაც დარგს დალუბვით ემუქრება... რაც შეეხება ექსპორტს, აზიაში დიდი მოთხოვნაა ქართულ თაფლზე (არაბული ქვეყნები, თურქეთი, ირანი, ერაყი, სირია). კარგი იქნებოდა სახელწოდება ჩართულობა ამ საკითხში... ქართულ თაფლსა და მეფუტკრეობის პროდუქტებს დიდი პერსპექტივა აქვს თავისი უნიკალურობის გამო... უნიკალურობა მიკრობიონებშია. ყველა სოფლის და კუთხის თაფლი განსხვავდება ერთმანეთისგან ფერით და გემოვნური თვისებებით, რადგან ჩვენთან ერთი სახეობის ტყე არ არსებობს... ჩვენ ფუტკარი როგორც არ

უნდა გავამრავლოთ, მსხვილი მიმწოდებლები (ერთგვაროვანი თაფლის) ვერ გავხდებით ვერც შიდა და ვერც გარე ბაზრისთვის... უფრო ნიშა უნდა გვეჭიროს ბაზარზე, როგორც მიკროზონაში მოყვანილი თაფლის...“ – აღნიშნავს ზვიად სანიკიძე.

ახალგაზრდა მეფუტკრის თქმით, დამწყებ ფერმერებს ხშირად იმედი უცრუვდებათ, მოლოდინი მეტი აქვთ და სწავლის სურვილი ნაკლები, არ ითვალისწინებენ რისკებს, რომელიც ყველა საქმიანობას თან ახლავს.

„ზოგადად პროფესიული განათლების პრობლემა ყველაზე დიდი უბედურებაა რაც ჩვენს ქვეყანას სჭირს. მაგალითისთვის: ნლების წინ „ფერმერი-ფერმერს“ პროგრამით ამერიკიდან ჩამოგვიყვანეს ტრენერი, მაგრამ 10 მეფუტკრეც არ დადიოდა ლექციებზე... სახელმწიფომ აუცილებლად უნდა წახალისოს აგრობიზნესის სტუდენტები, უნდა გადამზადდნენ საზღვარგარეთ, მიიღონ სხვადასხვა სასწავლო კურსებში მონაწილეობა. მე მასპავ-ის კურსდამთავრებული ვარ, მიღებული ცოდნა ძალიან დამეხმარა შემდგომ საქმიანობაში,“ – ამბობს მეფუტკრე-ფერმერი.

ზვიადი ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემასა და თანამედროვეობაში

ინტერნეტრესურსების აუცილებლობაზე საუბრობს.

„მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინტერნეტზე წვდომა თითქმის ყველას აქვს, სწორი და საჭირო ინფორმაციის და რჩევის მიღება მაინც ძნელია... ამ მხრივ ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ინტერნეტპორტალი [www.agroface.ge](http://www.agroface.ge), სადაც ერთ სივრცეშია თავმოყრილი ყველა საჭირო ინფორმაცია, რასაც ანალოგი არ გააჩნია.“

ზვიადი დამწყებ მეფუტკრეებს ურჩევს, სწორად შეარჩიონ ზონა, სადაც აპირებენ ბიზნესის დაწყებას, აუცილებლად მიიღონ თეორიული განათლება, ერთი სეზონი გაატარონ წარმატებულ მეფუტკრესთან პრაქტიკულ სამუშაოებში და, რაც მთავარია, უყვარდეთ ფუტკარი... თუ სწორად შეარჩევთ საქმიანობის სფეროს და სულსა და გულს ჩადებთ მასში, შედეგი აუცილებლად მოჰყვება...

ზვიად სანიკიძე, აგროტურიზმი-თაცაა დაინტერესებული და იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში ცნობის მოყვარე ტურისტებს შესთავაზებს აგროტურს, თუ რას ანარმობდნენ ვანელები ანტიკური ცივილიზაციიდან დღემდე...

თეონა ნოზაძე

სასარგებლო კულტურები

## ფეტვის ბიოაგრონომია

### ჰეჰე და ჰეჰე ნასარი, ჰეჰეჰე ფეტვის მარცხალი

**გოტანიკური დახასიათება – ფეტვი (ლათ. PANICUM MILIACEUM L.) მარცვლოვანთა ოჯახის წარმომადგენელი ერთწლიანი კულტურაა. მისი ფესვითა სისტემის ფუნჯი გალივივის დროს თხალს გამოაქვს ერთი ფესვი. მეორედი ფესვები გამოდის ბარტყლის ნასპიდან და მის ფესვებს აქვთ ნიადაგიდან წყლის შთითვისების დიდი უნარი.**

ფეტვის ღერო ცილინდრულია, შედგება მუხლთმორისებისაგან, აქვს დატოტვის უნარი. ღეროს სიმაღლე ჯიშების მიხედვით 85-100 სმ-მდე აღწევს. აქვს გრძელი, ფართო ფოთლები და ტაროსებრი საგველა ყვავილედი. ყვავილი ორსქესიანია, დაფარულია ყვავილის კილებით, რომლებიც მარცვლის მომნიფების დროს ჯიშისათვის დამახასიათებელ ფერს იღებენ: თეთრი, ყვითელი, წითელი და სხვა. ფეტვის მარცვალი წვრილია, მრგვალი, ოდნავ ოვალური. ფეტვის

1000 მარცვლის მასა საშუალოდ 5-8 გრამს შეადგენს. ყვავილედის აგებულების მიხედვით ჩვეულებრივი ფეტვი 5 ქვესახეობად არის დაჯგუფებული:

1. მეჩხერი ანუ გადამლილი,
  2. ფარჩხატი,
  3. დახრილ-საგველიანი,
  4. კოშტურა,
  5. ნახევრად კოშტურა.
- მეჩხერ-საგველიანი ანუ გადამლი-



ლი ფეტვი უფრო საადრეოა, მალე შემოდის, კარგად ეგუება სხვადასხვა ტიპის ნიადაგებს, მაგრამ ნაკლებ

ბად უძლებს გვალვებს, მარცვალი ადვილად ცვივა. შეკრულ-საგველიანი კოშტურა ფეტვი, პირიქით, მეტ მოთხოვნილებას აყენებს ნიადაგის მიმართ და კარგად იტანს გვალვას. მისი სავეგეტაციო პერიოდი უფრო მეტია და მარცვალი ნაკლებად ცვივა.

ძველად საქართველოში წითელი, თეთრი, ყვითელი და შავი ფეტვი ითესებოდა. ამათგან სასარგებლოა ყვითელი და წითელი. ფეტვი – იმერულად და გურულად – „ჭა-დი“, აფხაზურად – „ამაგ'რძ“, კახურად – „ფარჩხა“. რაჭაში ფეტვს ჭადს, ლეჩხუმში „ფეტვ-სა“ და „შავ ჭადსაც“ უწოდებენ. ფეტვი მოხსენიებულია ათონის მონასტრის XI ს.-ის, აგრეთვე, ნიკორწმინდის (XI ს.) ხელნაწერებში. ძვ. წ. II ათასწლეულიდან დაწყებული I ათასწლეულის ბოლომდე ფეტვი მასობრივად იყო გავრცელებული როგორც



ალმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ვლ. მენაბდე (V. Менабде, 1948) აღნიშნავს, ძველი კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში უხვად აღმოჩენილი მცენარეული ნარჩენების მიხედვით თუ ვიშჯელებით, დასავლეთ საქართველოში უმეტესად ფეტვნაირი პურეული (ფეტვი, ქვიმრა), შემდეგ ხორბალი და ქერი იყო გავრცელებული. უახლესი გამოკვლევებით ფეტვის ნაშთები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს (ნოქალაქევი, IV-III სს; ვანი V ს.) არქეოლოგიურ მასალებში (ბოკერია, 2013; 2014). სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით შესაძლებელია გამოიყოს ქართული ფეტვის ორი გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ჯგუფი: 1. ფეტვის მთის ჯგუფი, რომელსაც აქვს მოკლე სავეგეტაციო პერიოდი და აღმოცენებიდან სრულ შემოსვლამდე საჭიროებს დაახლოებით 70-80 დღეს. ამ ჯგუფის წარმომადგენელია სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ზოგიერთ სხვა მაღალმთიან მხარეში გავრცელებული ფეტვის ჯიშები. 2. ფეტვის დაბლობის ჯგუფი, რომელიც გამოირჩევა შედარებით გრძელი სავეგეტაციო პერიოდით და აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს დაახლოებით 100-120 დღეს. ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია გურიის, იმერეთის, სამეგრელოსა და ზოგიერთი სხვა მხარის დაბლობ ადგილას გავრცელებული ფეტვი. ამჟამად საქართველოში გვხვდება მოჰარი ანუ ძურნა-ფეტვი (ქვიმრა), რომელიც

ძირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს. იგი ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, გვალვაგამძლეობით, შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდით, მაღალი ყუათიანობით – 100კგ მწვანე მასა შეიცავს 16 კგ საკვებ ერთეულს. საუკეთესო საკვებია ფრინველებისა და ღორებისათვის. თუ ფეტვით გამოვკვებავთ წინილებს, მათ არც ვიტამინის დროს, უხდება კანს, განსაკუთრებით ეგზემით დაზიანებულს. ფეტვი ნაკლებად ალერგიულია, ვიდრე სხვა მარცვლეული კულტურები. ფეტვის ღვი კარგია ანემიისა და ავიტამინოზის დროს. ფეტვის მჭადებიც ძალიან გემრიელია. თავის დროზე საქართველოში სიმინდის კულტურის გავრცელებამ განდევნა ღომი და ფეტვი, რომელთაგანაც უწინ ღომი და მჭადი მზადდებოდა.

ნიადაგის დამუშავება – ფეტვის წარმოებისათვის ხელსაყრელია საკვები ნივთიერებებით მდიდარი, ფხვიერი ნიადაგი. იგი ვერ იტანს დამლაშებულ ნიადაგებს. სამარცვლე პარკოსნებისა და თავთავიანი კულტურების შემდეგ ნიადაგი უნდა აიჩქროს და გვიან შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლოს – ნოემბრის დასაწყისში მოიხნას მზრალად. ადრე გაზაფხულზე

მზრალი უნდა დაიფარცხოს. ფეტვი გვიან გაზაფხულზე დასათესი კულტურაა, ამიტომ ნაკვეთის დასარევილიანების რაც შეიძლება მეტად შემცირების მიზნით ფეტვის თესვამდე საჭიროა რამდენიმე კულტივაციის ჩატარება თანმიყოლებული ფარცხვით.

თესლის მომზადება დასათესად და თესვა – სათესლედ უნდა გამოვიყენოთ სუფთა ჯიშის მსხვილი და მძიმე მარცვალი, რომელიც ალებულია კარგად განვითარებული ცოცხების ზედა ნაწილიდან. გუდაფშუტოვანი დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად თესვის წინ თესლი უნდა შეინამლოს ბიოპრეპარატებით. ფეტვი ითესება მაშინ, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა თესლის ჩათესვის სიღრმეზე მიაღწევს 12-14 გრადუსს. ფეტვის ნაადრევად თესვა სასურველი არ არის. ცივ ნიადაგში მოხვედრილი თესლი გვიან აღმოცენდება და სარეველები უფრო ადვილად მოერევა, მაგრამ თესვის დაგვიანებაც არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია ნიადაგის ზედა ფენის სიმშრალის გამო თესლი დიდხანს არ აღმოცენდეს. თესვის პერიოდი საქართველოს ბარის ზონაში აპრილის მეორე ნახევარია, მთიან ნაწილში კი მაისის თვე. ფეტვი უნდა დაითესოს ჩვეულებრივი მწკრივად ვიწრო მწკრივად ან ფართო მწკრივად 45 სმ მწკრივთაშორისებით. ჩვეულებრივ და ვიწრომწკრივად, თესვა ტარდება ხორბლის სათესი მანქანით, ხოლო ფართომწკრივად – ბოსტნეულის სათესით.

ნის და არც სხვა სახის საკვების მიცემა დასჭირდება. იგი სანაწევრალი კულტურაა. გამოიყენება დალუპული საშემოდგომო და საგაზაფხოლო პურეულის გადასათესად. მას შეუძლია ორჯერ მოგვეცეს მწვანე მასა. კარგი წინამორბედი სათესი კულტურებისათვის. საგველა შეიცავს 1200 მარცვალს 10 გ წონით. მცენარის სიმაღლეა 70-100 სმ 4-10 მუხლთმორისებით და მიეკუთვნება საბურღულე – ფეტვნაირ თავთავიან პურეულს. საშუალო მოსავალი 1,4-2,5ტ/ჰა-ს შეადგენს. ბარტყობა იწყება 5-6 ფოთლის ფაზაში. 1000 მარცვლის მასა საშუალოდ 6-8 გრამია. ალება ხდება საგველას რუხი შეფერილობისა. ფეტვის მარცვალი შეიცავს დიდი რაოდენობით ცილებსა და ცხიმებს, სახამებელს, შაქარს, უჯრედის, ნატრიუმს, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინას, ნიკელს. თუთიას, ვიტამინებს. აძლიერებს სისხლწარმოქმნას, ააქტიურებს ორგანიზმის ფერმენტულ სისტემებს. ნედლი მარცვალი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ათეროსკლეროზის, შეკრულობის, ჰიპერტონული დაავადებების სამკურნალოდ. ფეტვს ახასიათებს ლიპოტროპული მოქმედება – ღვიძლში აჩქარებს ცხიმების დაშლის პროცესს. ლიპოტროპიკები ორგანიზმში ანაზღაურებენ C ვიტამინის, ბეტაინის, ინოზიტისა და კოენზიმ Q 10-ის ნაკლებობას. ფეტვი წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისა და ნიღისგან, რადიონუკლიდებისაგან, ასტიმულირებს კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას, სასარგებლოა ჭარბი წო-



თესვის შემდეგ ნიადაგი უნდა დაიტკეპნოს საგორავებით. ფეტვის სათესი ნორმა დამოკიდებულია თესვის წესზე. ფართო მწკრივებად თესვის დროს საკმარისია 14კგ/ჰა-ზე, ჩვეულებრივი მწკრივად თესვის დროს კი 18 კგ/ჰა-ზე. ფეტვი ითესება 2-3 სმ-ის სიღრმეზე, მაგრამ განსაკუთრებით მშრალ ნიადაგებზე საჭიროა უფრო ღრმად ჩაითესოს – საშუალოდ 5-6 სმ-ის სიღრმეზე.

**ნათესის მოვლა** – ფეტვის აღმოცენებამდე თუ ნიადაგმა ქერქი გაიკეთა, ამ დროს საჭიროა დაფარცხვა. აღმოცენების შემდეგ, როდესაც მცენარეები საკმაოდ მომარტდებიან, საჭიროა ნათესი დაიფარცხოს მსუბუქი ფარცხით, მწკრივების გარდიგარდმო, ხოლო ფართო მწკრივებად ნათესი ფეტვი კი გაფხვიერდეს კულტივატორით.

კულტივაციები ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით და წესით:

**პირველი – კულტივაცია** – ტარდება ბარტყობის ფაზაში, 6-8 სმ-ის სიღრმეზე.

**მეორე – კულტივაცია** – ტარდება მეორე კულტივაციიდან 15-20 დღის შემდეგ, 10 სმ-ის სიღრმეზე.

**ნიადაგის განოციერება** – ნიადაგის განოციერება თესვის წინ უნდა ჩატარდეს ორგანული სასუქებით (შპს „ბიოაგრო“-ს პრეპარატები, ბომსი, ბაქტოფერტი, ბიოდეპოზიტელექსირი, ბიოჰუმუსი, აგროვიტა). სავეგეტაციო პერიოდში საჭიროა ფეტვის 3-ჯერადი ფესვური და ფოთლოვანი გამოკვება ბიოპრეპარატებით: შპს „ბიოაგრო“-ს პრეპარატები (ორგანიკა, ფიტოკატენა, ბიოკატენა, აგროკატენა, ლეპიდინი, ტურინგენი) და ფლორასტიმი.

– ფეტვი კარგად იყენებს ნაკელს.

**მორწყვა** – ფეტვი წყლისადმი ყველაზე მომთხოვნია ყვავილობის და აღერების ფაზებში. მორწყვა შესაძლებელია როგორც კვალში მიშვებით, ასევე დაწვიმებით.

**ადგილი თესლბრუნვაში** – ფეტვის ადგილი თესლბრუნვაში იმით განისაზღვრება, რომ იგი დიდ მოთხოვნას აყენებს სარეველებისაგან ნიადაგის განმენდის მიმართ, განსაკუთრებით განვითარების პირველ ეტაპზე. ამ თვალსაზრისით მისი კარგი წინამორბედი მრავალწლიანი ბალახე-

ბის კორდი, სამარცვლე პარკოსნები, სათხონი კულტურები და საშემოდგომო თავთავიანები, მაგრამ ფეტვი ყველაზე მაღალ მოსავალს იძლევა ყამირზე და მრავალწლიანი ბალახების კორდზე. მისი თესვა არ შეიძლება სიმინდის შემდეგ, რადგან ორივე კულტურა ზიანდება სიმინდის ფარვანათი. ფეტვი ვერ იტანს ზედიზედ თესვას. იგი ერთი და იგივე ნაკვეთზე შეიძლება დაბრუნდეს 5-6 წლის შემდეგ.

**მავნებელ-დაავადებები** – მავნებელ-დაავადებებიდან ფეტვზე, ისე როგორც სხვა ფეტვიანი კულტურებზე, აღსანიშნავია თავვისებრი მღრღნელები, ხვატარები, მტვრიანა გუდაფშუტა, ჟანგა და სხვა. მათ წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას ბიოპესტიციდები. ფეტვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ბიოლოგიურ თავი-



სებურებას წარმოადგენს თავდაპირველად შედარებით ნელი ზრდა, რის გამოც მცენარე ადვილად იჩაგრება სარეველებით. ამიტომ აგროტექნიკური ღონისძიებებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თესლბრუნვაში ფეტვის წინამორბედი კულტურების შერჩევას. ამ მხრივ კარგია სამარცვლე პარკოსანი მცენარეები, რომლებიც ნიადაგს აზოტითაც ამდიდრებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ფეტვი თავისთავად სხვა კულტურების კარგი წინამორბედი. ფეტვი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვა პურეული და ამიტომ შესაძლებელია მისი დათესვა გვიან გაზაფხულზე. ჩვეულებრივ ამ დროისათვის მიწვერად უკვე ჩნდება სარეველა მცენა-

რები. კარგად დამუშავებულ მიწაზე დათესილი ფეტვი იძლევა არამარტო კარგ მოსავალს, არამედ ასუფთავებს ნიადაგს სხვა კულტურებისათვის. სამეურნეო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თვისებები – გვალვაგამძლეობა და მოკლე სავეგეტაციო პერიოდი ფეტვს სადაზღვევო კულტურის მნიშვნელობას ანიჭებს. საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ამა თუ იმ მიზეზით დალუპვის შემდეგ შესაძლებელია დალუპული ნათესების გადათესვა ფეტვით. ადრე გაზაფხულზე ფეტვი დიდი რაოდენობით ითესებოდა კახეთის თითქმის ყველა სოფელში. ფეტვი ჩვეულებრივ მარტსა და აპრილში უნდა დაითესოს, რომ აგვისტოს დასაწყისისათვის მოსავალი მივიღოთ. დათესვიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ფეტვი იწყებს აღმოცენებას. როგორც კი მწკრივები გამოჩნდება, საჭიროა ხშირი ნათესი გამოიხშიროს – გაიმარგლოს და მწკრივთაშორისები მაშინვე 2-3 ჯერ გაითხონოს – გაფხვიერდეს. მოსავალი უნდა ავიღოთ მცენარის სრული სიმწიფის პერიოდში. ფეტვის მარცვალში ცილების რაოდენობა მერყეობს 16-19%-ის ფარგლებში. ცილების შემცველობა ყველაზე მაღალია ქართულ ფეტვში (19,1%). ქართული ფეტვი გამოირჩევა, აგრეთვე, ლიზინის მაღალი შემცველობით (5,5% – 6,2%). მასში მაღალია გლუტამინის მჟავის (12,7-17,7%) შემცველობაც. ფეტვის ფქვილი სამკურნალოდ იხმარებოდა, როგორც შემკურველი და სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება. ფეტვი

წმინდავს თირკმელებს, გამოჰყავს ქვიშა, პატარა ქვები და ლორწო, მკურნალობს ცისტიტს.

**ფეტვის მოსავლის აღება-შენახვა** – ფეტვის მოსავალი თანაბრად არ შემოდის. პირველად მწიფდება საგველას ზედა ნაწილი. მოსავალი აღებული უნდა იქნას მაშინ, როცა საგველაში 75-80% მარცვალი მომწიფდება. აღების ვადის გარეგნულ ნიშნად ითვლება მცენარის საგველას ნევროს რუხი შეფერილობა. მარცვალი უნდა გაწმინდოს და გაშრეს. შენახვისათვის განსაზღვრული ფეტვის მარცვლის ტენიანობა 13-14%-ზე მეტი არ უნდა იყოს.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

ცხრილი №1

ბიოპრეპარატების გამოცდა ფეტვის კულტურაზე

ვარიანტი	ბიოპრეპარატები	მცენარის სიმაღლე (სმ)	საგველში მარცვლების რა-ბა	ერთი საგველას მარცვლის წონა (გ)	მარცვლის წონა (გ)	მოსავალი (კგ/მ <sup>2</sup> -ზე)	მოსავალი (ტ/ჰა-ზე)
საკონტროლო	გამოკვების გარეშე	70	1100	9	7.9	0.11	1.1
საცდელი (ბიო)	შპს „ბიოაგრო“-ს პრეპარატები	100	1200	12	12.5	0.20	2.0
	ფლორასტიმი	100	1100	9.5	8.5	0.15	1.5

ნილკნის ექსპერიმენტულ ბაზაზე იცდებოდა ფეტვის კულტურა, რომლის მოვლა-მოყვანა ხდებოდა ბიოლოგიური მეთოდებით. ცდები ჩატარდა საცდელ (ბიო) და საკონტროლო ვარიანტებში. ბიონაკვეთში ფეტვზე გამოიცადა როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე უცხოეთიდან შემოტანილი ბიოპრეპარატები: შპს „ბიოაგრო“-ს პრეპარატები (ორგანიკა, ფიტოკატენა, ბიოკატენა, აგროკატენა, ლეპიდინი, ტურინგენი) და ფლორასტიმი.

დაკვირვებებს მცენარეთა განვითარებაზე (აღმოცენება, ბარტყობა, დათავთავება, სიმწიფე) ვანარობდით მინდვრის პირობებში. შევისწავლეთ ბიო-სამეურნეო მაჩვენებლები (საგველას სიგრძე, საგველას მარცვლის რაოდენობა, ერთი საგველას მარცვლის მასა, 1000 მარცვლის მასა).

როგორც № 1 ცხრილიდან ჩანს,

საკონტროლოსთან შედარებით უკეთესი შედეგები მოგვცა შპს „ბიოაგრო“-ს პრეპარატებმა – 1000 მარცვლის წონა გაიზარდა 4,6 გ-ით, ერთი საგველას მარცვლის წონა 3გ-ით, მოსავალი 0.9ტ-ით შექტარზე.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიოაგრონარმოების სამსახური

**ზინაბ სარალიძე,**  
ს/მ დოქტორი;

**გორა წერეთელი,**  
ს/მ დოქტორი;

**მზია პარსაძე,**  
ს/მ დოქტორი;

**გივი წილოსანი,**  
ბ/მ დოქტორი;

**ზურა კილანიძე,**  
სპეციალისტი;

**თინათინ მამისწარაძე,**  
დოქტორანტი

ფეტვის ბიონარმოების ტექნოლოგიური რუკა

აგროტექნიკური ღონისძიებები	რეგიონი					
	კახეთი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	გურია	იმერეთი	სამეგრელო
	განხორციელების პერიოდი თვეების მიხედვით					
მოხვნა	XI	XI	XI	II-III	II- III	II-III
დადისკვა-კულტივაცია	III	III	III	III	III	III
ნიადაგის განოციერება	XI	XI	XI	II-III	II-III	II-III
თესვა	IV	IV	IV	IV	IV	IV
ბრძოლა სარეველებთან	III-IV	III-IV	III-IV	-	-	-
ბიოპრეპარატებით გამოკვება	III-IV	III-IV	III-IV	III-IV	III-IV	III-IV
მოსავლის აღება	VII-VIII	VII-VIII	VII-VIII	VII-VIII	VII-VIII	VII-VIII

პენკროპნეზი

**ხურტკმელი (კინკრიშა) - დარგვა, მოვლა, მოყვანა, ბაღის გაშენება**

**ზოგადი ინფორმაცია**

ხურტკმელი (ლათ. Grossularia reclinata) 1-1.2 მეტრი სიმაღლის ეკლიანი ბუჩქია, ზღაგენაკვებებიანი, 6 სმ-მდე სიგრძის, ქვედა მხრიდან შებუსუსული ფოთლებით. ფოთლის ქვედა მხარის ძარღვების გაყოლებაზე არსებული ბუსუსები უხეში და მჩხვლეტავია.

ბუსუსებიანი ყვავილები მომწვანო ან მოწითალოა და ფოთლების ილღიებში თითო ან წყვილ-წყვილადაა განლაგებული. 1,5 სმ-მდე სიმსხოს ნაყოფი ელიფსური ან მრგვალია, მომწვანო, ყვითელი ან მოწითალო შეფერვით.

ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი ივლისში მწიფდება, საჭმელად მოუმწიფებელი ნაყოფიც გამოიყენება.

**წარმოშობა და გავრცელება**

ხურტკმელის სამშობლოდ დასავლეთ ევროპას და ჩრდილოეთ აფრიკას მოიაზრებენ, ველური სახით გავრცელებულია სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, შუა აზიაში, სამხრეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

**შეადგენლობა და გამოყენება**

ხურტკმელის ნაყოფი (კენკრა) 13,5 %-მდე შაქრებს, 2.0 %-მდე ლიმონის, ვაშლის და სხვა მჟავებს, 1.0 %-ზე მეტ პექტინოვან ნივთიერებებს, C, P, B და A ვიტამინებს შეიცავს.



გარდა ამისა მის შემადგენლობაში შედის ფოსფორი, სპილენძი, რკინა, კალიუმი. ნატრიუმი, კალციუმი და მაგნიუმი.

ნედლი ნაყოფი კარგი ხილია, მისგან ამზადებენ მურაბას, კონფიტურს, კომპოტს, მარმელადს, ლეინოსაც კი.

საზამთროდ ნაყოფს ახმოვენ, ამზადებენ მარინადს ან კონფიტურს, ჭყლეტენ, შაქარს აყრიან და ისე ინახავენ. ხურტკმელის ნაყოფი პოპულარულია ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და გასუქების საწინააღმდეგოდ.

გამოიყენება ათეროსკლეროზის სამკურნალოდ, ამცირებს ქოლესტერინის დონეს, წმენდს სისხლს. ხალხური მედიცინა მას აგრეთვე იყენებს კუჭსასაქმებლად, შარდ და ნალველმდენ საშუალებად, კარგი თაფლოვანი მცენარეა.

**ძირითადი აგროტექნიკა**

ხურტკმელი კარგად იტანს გვალვასაც და სიცივესაც, სინათლის მომთხოვნია, ბუნებრივად გავრცელებულია ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში, მთის შუა სარტყლისა და სუბალპურ ტყეებში, ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლემდე.

**• ნიადაგი**

ხურტკმელი კარგად მოდის კარგი აერაციის მქონე მსუბუქ თიხნარ, ქვიშნარ, თხელ, ხირხატ ნიადაგებზე. ამ კულტურის თიხნარ ნიადაგებზე მოყვანისას ხშირია გაფხვიერება.

**ნიადაგის მჟავიანობა:**  
PH=6,0-6,5.

**გრუნტის წყლები:** ნიადაგის ზედაპირიდან 1-1.5 მ-მდე.

**დარგვის სქემა:** 1.0-1.0 მ; 1.2-1.2 მ; 1.2-1.5 მ; 1.5-1.5 მ; 2.0-1.5 მ; 2.5-1.5 მ; რიგებს შორის და რიგში მცენარეთა შორის მანძილი დამოკიდებულია ჯიშის ნიშან-თვისებებზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე და ა.შ (სამრეწველო ბაღისთვის მანძილის შერჩევისას გაითვალისწინეთ ტექნიკა).

**• გამრავლება**

მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად – კალმებით, ბუჩქის დაყოფით, გადანევენით, ძირკვის ამონაყარს უხვად ინივთარებს.

**• ნაკვეთის მომზადება დასარგავად**

დარგვისთვის უნდა შეირჩეს კარგად განათებული ნაკვეთი. ჩრდილში უხვი მოსავლის მიღება შეუძლებელია. ასეთ ნაკვეთებზე როგორც წესი ნაყოფი წვრილიცაა და რაოდენობაც მცირეა. ასევე უნდა ვერიდოთ ამ კულტურის ზედმეტად დატენიანებულ ნიადაგებზე გაშენებას.

ბაღის გაშენებამდე შერჩეულ ფართობზე უნდა ჩატარდეს ნიადაგის ღრმად დამუშავება (პლანტაჟი) 45-50

სმ-ის სიღრმეზე. ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევის საფუძველზე ორგანულ-მინერალური სასუქის შეტანა, ნიადაგის ჯვარედინული მოხვნა და დაფარცხვა.

**• დარგვა**

ხურტკმელის დარგვა მუდმივ ადგილზე შესაძლებელია როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე შემოდგომით. გამოცდილი მებაღეები უპირატესობას შემოდგომას ანიჭებენ, ყინვების დადგომამდე დაახლოებით 5-6 კვირით ადრე.

დასარგავი ორმოს საშუალო ზომები: 0,5 0,5 0,5 მ.

დარგვის წინ დასარგავ ორმოში შეაქვთ:



• 10 კგ. გადამწვარი ნაკელი ან კომპოსტი;

• 100-150 გრ. ხის ნაცარი;

• 50 გრ. სუპერფოსფატი.

დარგვამდე ნერგს აუცილებლად უნდა მოვაცილოთ ყველა შემხმარი ფესვი. რგავენ 5-6 სმ, უფრო ღრმად, ვიდრე იყო დაფესვიანებისას, ოდნავ დახრილად, კარგად ტეკეპნიან.

დარგვის შემდეგ უნდა მოიწყას 1 მცენარეზე – 0.5-1.0 ვედროს გაანგარიშებით, უნდა დაიფაროს ორგანული მულჩით და გადაიჭრას ნიადაგის ზედაპირიდან 5-7 სმ-ზე.

**• მოვლა**

იმისთვის, რომ ბუჩქი კარგად განვითარდეს და უხვმოსავლიანი იყოს, აუცილებელია ნიადაგის რეგულარული გაფხვიერება.

ხურტკმელის ფესვთა სისტემა ძალიან ახლოსაა ნიადაგის ზედაპირთან, ამიტომ ფესვის გართხმის რადიუსში ფრთხილად უნდა დამუშავდეს (მხოლოდ ზედა ფენა) არა უმეტეს 7 სმ. სიღრმისა. ამ რადიუსის გარეთ ნიადაგს უფრო ღრმად ამუშავებენ.

მნიშვნელოვანია სარეველების დროული მოშორება.

მცენარის ნორმალური განვითარებისა და ნაყოფიერებისთვის დიდი ყურადღება ექცევა ნიადაგში ტენიანობის შენარჩუნებას, ამიტომ, გვალვიან პერიოდში საჭიროა ხშირი, მაგრამ ზომიერი მორწყვა.

ნაყოფის მომნიფებამდე 2-3 კვირით ადრე მორწყვა უნდა შეწყდეს.

პირველ წელს კარგი იქნება, თუ კვება ჩატარდება მინიმუმ ორჯერ, პირველ ყვავილობის და მეორედ მოსავლის აღების შემდეგ.

ერთ მცენარეზე საშუალოდ შეაქვთ 8-10 კგ. ნაკელი ან კომპოსტი, 100 გრ. ხის ნაცარი; 40 გრ. სუპერფოსფატი. შემდეგში კვება შეიძლება განხორციელდეს ყოველ მეორე წელს, თუ არ არის განსაკუთრებული საჭიროება.

სამრეწველო ბაღის გაშენების დროს საჭიროა გამოვიყენოთ ამ კონკრეტული ჯიშისთვის განკუთვნილი კვება და მორწყვის რეჟიმი, გარემო და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

**• ფორმირების პრინციპი**

პირველ წელს ყველა ტოტი მოკლდება 1/3-ით, ხოლო ფესვის ამონაყრიდან ტოვებენ 3-4 ყველაზე ძლიერ და სწორი მიმართულებით მზარდ ამონაყარს.

მეორე წელს ახალ ტოტებს (იმ წლის) ისევ ამოკლებენ 1/3-ით, ხოლო ფესვის ამონაყრიდან ტოვებენ 6-8 ყველაზე ძლიერს და განვითარებულს.

მესამე წელს, როცა მცენარე პირველ მოსავალს იძლევა, მას უკვე ექნება სხვადასხვა წლის 12-15 ტოტი. ამ წელსაც იგივე სქემით ვმოქმედებთ (ახალ ტოტებს ვამოკლებთ 1/3-ით). ფესვის ახალი ამონაყრიდან ისევ ვტოვებთ 3-4 საუკეთესოს.

5-7 წლისთვის, როდესაც მცენარე აღწევს სრულ მოსავლიანობას, ბუჩქს უნდა ჰქონდეს 18-20 სხვადასხვა ასაკის, კარგად განვითარებული ტოტი. აქედან მოყოლებული, შემდეგ წლებში 7 წელზე მეტი ხნის ტოტები ნოლზე უნდა გადავჭრაოთ, ასევე უნდა მოვაშუროთ სუსტი და დაზიანებული ტოტები.

**მოსავალი**

ხურტკმელი კარგ მოსავალს საშუალოდ 12-15 წელში იძლევა. ნაყოფიერია ერთი ჯიშის რამდენიმე ბუჩქის დროსაც, თუმცა, მოსავლიანობა და ნაყოფის ხარისხი იზრდება, როცა ერთ ნაკვეთზე 2-3 ჯიში მოჰყავთ.



რუბრიკას უძღვება „მოგავლის ფერები“

## არჩილი პროფესიით ვადავო!

არჩილ სუდაძე ახალგაზრდა ვეტერინარი. მან 2013 წელს ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარში“ ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის საბანაანათლებლო პროგრამის კურსი დაასრულა. მიღებული ცოდნა დაეხმარა ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების შესწავლაში. გააცნობიერა, თუ რა თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა საჭირო რთული ამოცანების გადასაჭრელად. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე გამოთქმულა უნარ-ჩვევები, რაც შემდგომ საქმიანობაში დაეხმარა.

არჩილი ახალციხის ვეტაფთიაქში მუშაობს, ყოველდღიურად ემსახურება ფერმერებს, უწევს კონსულტაციებს, მუდმივად ადევნებს თვალს დარგში მიმდინარე სიახლეებს და ცდილობს, განვითარდეს, მეტი ცოდნა და გამოცდილება შეიძინოს. ამ მიზნით ესწრება სხვადასხვა სემინარებს, გადის სწავლების კურსებს და სურს, კიდევ უფრო მეტად დახელოვნდეს ამ სფეროში.

„ვეტერინარიაში მე-5 წელიწადია ჩართული ვარ. საკმაოდ საინტერესო, საპასუხისმგებლო პროფესიაა და მიხარია, რომ ეს არჩევანი გავაკეთე.

როგორც ადამიანის, ისე ცხოველის მკურნალობისას სწორი ანალიზის და დიაგნოზის დასმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ სფეროში პრაქტიკის მნიშვნელობა ფასდაუდებელია, რაც ახალბედა ვეტერინარებმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ.

ვეტაფთიაქში მუშაობა ძალიან საინტერესოა. ყოველდღიურად იქნენ ცოდნას, ეცნობი ახალ პრეპარატებს, თანამედროვე მიდგომებს და კავშირი გაქვს იმ ადამიანებთან, ვისთვისაც შენ მიერ გაცემული კონსულტაცია მნიშვნელოვანია“, – აღნიშნავს არჩილ სუდაძე.

არჩილის თქმით, რეგიონში ვეტერინარები არიან, თუმცა, დარგის პოპულარიზაციისა და რეგიონში ახალგაზრდა სპეციალისტების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

არჩილი ახალციხის რაიონის სოფელ ღრელში ცხოვრობს. ის, ამავედროულად, ფერმერიც არის. ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი, ასევე ცხვარი, ღორი და ქათმები, რომლებსაც სამსახურის პარალელურად აქცევენ ყურადღებას და უვლის.

მომზადა  
თინა ნოზაძე

### ვეტერინარის გვერდი

რუბრიკას უძღვება „მოგავლის ფერები“

## გაქვთ კითხვა ვეტერინართან?

მოგვწერეთ ან დარეკეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ბასუსს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აგროპული საქართველოს“ საშუალებით.

**1. გაქვს შინაური ცხოველების პატარა ფერმა. ჩემს ცხოველებს ხშირად ემართებათ ნაწლავური აშლილობები ან პრობლემები საკვების მოწოდებაში. თუ არსებობს რაიმე უნივერსალური საშუალება, რომელიც უპირატესად ამ პრობლემაზე მუშაობს?**

პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ პრეპარატი „მენბუთილი“, რომელიც ესპანურ კომპანია „ლივისტოშია“ წარმოებულა. პრეპარატი გამოიყენება ყველა სახის შინაური ცხოველებისთვის, რომელთაც დახმარება სჭირდებათ საჭმლის მონელებისა და ყველა მასთან დაკავშირებულ სეკრეტორულ პროცესებთან. მოიხმარება როგორც მადის მასტიმულირებელი საშუალება. პრეპარატი საუკეთესოდ მუშაობს საჭმლის მონელების პირველადი აშლილობისას (ზედმეტი, დაბინძურებული ან გაფუჭებული საკვების მიღებისას და ასევე საკვები რაციონისა და დიეტების სწრაფი ცვლილებისას, ფაშის გადატვირთვის, შებერილობის და ყაბზობის დროს); აგრეთვე „მენბუთი-

ლი“ გამოიყენება საჭმლის მონელების მეორადი აშლილობისას: გამოიყენება ოპერაციის შემდეგ საკვების მონელების აღდგენის მიზნით, ნივთიერებათა ცვლის ღრმა დარღვევებით.

პრეპარატს იყენებენ მსხვილფეხა შინაურ ცხოველებში, აგრეთვე ცხვარსა და თხაში. „მენბუთილით“ კურნავენ აგრეთვე ცხენებს, ღორს და ძაღლს. პრეპარატი კეთდება ვენაში (ნელა) ან ღრმად კუნთში, 1მლ 10 კგ-ზე.

**2. მყავს რამდენიმე ძროხა, საქონელი აყვანილი მყავს მთაში. ვინაიდან ყველა აცრა ჩატარებული არ ჰქონდათ, საქონელი დამიავადდა ნოდულარული ღერმატიტით. როგორ ვუპყრნალო ცხოველებს, რომ არ დააპარგონ სამეურნეო სარგებელი?**

ადრეული ნიშნების შემჩნევისთანავე (მცირე ზომის ბურვაკები სხეულის სხვადასხვა ადგილას, ტემპერატურ-

რის მომატება, უმაღობა, მოდუნება) ცხოველებს უნდა გავუკეთოთ ანტიბიოტიკი. ამ ეტაპისთვის საუკეთესო შედეგები აჩვენა „პრიმაფულმა“, ასევე კარგია „პენბექსი“, „ოქსიტეტრაციკლინი 200“. გარდა ამისა, უნდა დავუზღვეოთ ცხოველის ორგანიზმს იმუნიტეტის შენარჩუნებაში, არ უნდა დავუშვათ მისი დაძაბუნება და ვიტამინების დეფიციტი. ამ მიზნით ვაკეთებთ პრეპარატ „დასი 25%“-იანს და საინექციო ვიტამინებს „ადვე“ ან „ბეფორველი“.

**3. მყავს მაკე ღორი, რომელსაც უზვიანდება დაყრა. სამი დღეა არაფერი უჭამია, რომორ მოვიძევა?**

ზაფხულის სიცხე ძალიან ამძიმებს მის მდგომარეობას. შეუქმენით ნორმალური ტემპერატურის მქონე, მშვიდი გარემო. დასუსტებისგან თავის ასაცილებლად შეგიძლიათ გაუკეთოთ „კალსიმინი“ ან „კალფოსეტი“.

მოიცადეთ მაქსიმუმ ორი დღე და გამოიძახეთ მოქმედი ვეტერინარი.

**4. მაქვს საოჯახო მეურნეობა და მყავს საქონელი. ზამთარში თითქმის არ არის საშუალება, რომ ვიტამინები მივაწოდოთ ცხოველებს. რას შემიძლია ვაკეთო იმისათვის, რომ ცხოველებს ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტი მოვუხსნათ, თუ კვიზა ამის საშუალებას არ იძლევა?**

გამოსულია ფრანგული წარმოების, კომპანია Neolait-ის მინერალებისა და ვიტამინების შემცველი ბოლუსები. მათ აქვთ უნიკალური თვისება, თანდათანობით, საჭიროებისამებრ, მიანოდონ ცხოველს დეფიციტური ნივთიერებები მას შემდეგ, რაც მოხვდება მათ ორგანიზმში. შეძენა შესაძლებელია „როქის“ ვეტაფთიაქში (თბილისი, ქეთევან ნაგებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

**რუბრიკას უძღვება „ომოავლის ფერმერი“**

# გაქვთ კითხვა აგრონომთან?

ომოგვრამით ან დარეკაბით, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ასაუსს მიიღებთ ჟურნალ „ახალი აგრონომიის საქართველოს“ საშუალებით.

**1. ნუში მოსავლის აღება როდისაა შესაძლებელი სპარტიველოში?**

– ნუში საქართველოში შემოდის (მნიფდება) აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის პირველ ნახევარში. მოსავლის ასაღებად ყველაზე კარგი პერიოდია მაშინ, როცა მომნიფებული ნაყოფების ლენჯო ყვითლდება და იხსნება. ეს ყველაზე კარგი პერიოდია მოსავლის ასაღებად. ჩამოცვენილი და დაკრეფილი ნაყოფი აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს გარე გარსისგან, გაიშალოს მშრალ ადგილას და პერიოდულად აირიოს. გამშრალი და გადარჩეული სალი ნაყოფები უნდა მოთავსდეს ჰაერგამტარ ტომრებში და დალაგდეს გრილ, ვენტილირებად სარდაფში.

**2. რა მნიშვნელობა აქვს სორგოს?**

– სორგოს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. მის მარცვალს ფართოდ იყენებენ სახამებლისა და სპირტის წარმოებაში, აფრიკის მოსახლეობისთვის კი სორგო ძირითად საკვებს წარმოადგენს. სორგოს ზოგიერთი ჯიშის ღერო 10-15% შაქარს შეიცავს. მისგან ამზადებენ ბადაგს „მცენარეულ თაფლს“, რომელსაც იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში. დაახლოებით 1 ჰა სორგოს მწვანე მასა იძლევა 15-20 ც „სორგოს თაფლს“. სორგოს იყენებენ ბიოსანვლის დასამზადებლადაც. მარცვლის ფერადი კილებიდან ამზადებენ საღებავებს. ღერო საუკეთესო მასალაა ქალაქის დასამზადებლად. არსებობს სორგოს ისეთი ჯიშებიც, რომლის ყვავილედისგან ცოცხებს ამზადებენ. სორგო ასევე პირუტყვის საკვებად მოჰყავთ – მისი მარცვლით იკვებება რქოსანი პირუტყვი, ღორი, ფრინველი, ცხენიც კი. გათიბვის შემდეგ იძლევა ამონაყარს და შეიძლება იქნას გამოყენებული მწვანე საკვებად.

საქართველოს პირობებში სორგო იშვიათად თუ სადმე გვხვდება. ის უფრო მშრალ, ურწყავ მიწებზე (როგორც

გვალვავამძლე მცენარე) მოჰყავთ, უმთავრესად ცოცხების დასამზადებლად.

**3. როდის ითვისება ზებონდარა და როგორია მისი გამოყენების მიზანი?**

– ბეგქონდარის თესვის ვადები შეზღუდული არ არის. ის შესაძლებელია დაითესოს ზაფხულში უშუალოდ თესვის ადგილისთანავე, როცა მას აღმოცენების მაქსიმალური ენერჯია გააჩნია. ითვისება ადრე შემოდგომით ან გაზაფხულზე. თესვისას ვადას დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმონაცენი წაყინვებმა არ დააზიანოს ან არ მოხდეს ნათესის გადარეცხვა. გარდა თესლით თესვისა, ჩითილებით გამრავლებასაც მიმართავენ.

– დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესვის და გადარგვის აგროკალენდარულ ვადებს მაქსიმალური პროდუქტიულობის და ხარისხობრივი პარამეტრების მისაღებად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის ეთერზეთების წარმოქმნის პროცესის ოპტიმიზაცია. შემოდგომით დათესილი ან გადარგული მცენარეები ითვისებენ სითბოს, ტენს, ივითარებენ მძლავრ ასიმილაციურ აპარატს, შესაბამისად, პირდაპირპროპორციულად ვითარდება ფესვთა სისტემა, რაც შემდგომ მალალი პროდუქტიულობის საწინდარია.

ბეგქონდარა ამოსახველებელი და დამარბილებელი საშუალებაა ბრონქიტისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადებებისას. ახასიათებს სპაზმოლიზური მოქმედება, რასაც განაპირობებს ფლავონოიდების შემცველობა. ბეგქონდარა ძვირფასი საწებელია და ეთერზეთების შემცველობა განაპირობებს მის გამოყენებას ფიტოკულისინარიაში. ბეგქონდარა გამოიყენება, როგორც საწებელი გამშრალი სახით. მას, როგორც ძვირფას საკმაზს, უმატებენ სალათებს, ბოსტნეულ და ხორციან კერძებს.



## დარიჩინის სასარგებლო თვისებები, უკუჩვენებები და რეცეპტები

დარიჩინი სანელებელია, რომელიც გზადდება დარიჩინის ხის ძირითადი, მისი გამოშრობის საშუალებით. დარიჩინის სამომზადო შრი-ლანკა.

### დარიჩინის სასარგებლო თვისებები

- დარიჩინი საკმაოდ სერიოზული სამკურნალო საშუალებაა. მაგალითად, ის ხელს უწყობს შაქრის დონის დაწევას დიაბეტის დროს. 4-5 გრამი დარიჩინი 15-20%-ით ამცირებს სისხლში შაქრის დონეს.

- დარიჩინში შემავალი საკვები ბოჭკო (ცელულოზა) და კალციუმი ხელს უწყობენ ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნას;

- დარიჩინი საუკეთესო საშუალებაა დიარეის (ფაღარათი) და ყაბზობის (შეკრულობის) პროფილაქტიკისთვის. მოკლედ, ის აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას;

- დარიჩინის რეგულარული გამოყენება ამცირებს ინსულტისა და ინფარქტის რისკს. ის დადებითად მოქმედებს გულის კუნთის მუშაობაზე, დაბლა სწევს „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს.

- დარიჩინი ხსნის კანის გაღიზიანებას, ამიტომ მას ხშირად ურევენ სახეში დამზადებულ სახის კრემებში;

- დარიჩინის სპეციფიკური არომატი ტვინის მუშაობის სტიმულირებას ახდენს და აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

### დარიჩინის უკუჩვენებები

ვინაიდან დარიჩინი აძლიერებს სისხლის მიმოქცევას და ორგანიზმის სტიმულირებას ახდენს, მას, როგორც სხვა სამკურნალო საშუალებებს, აქვს თავისი უკუჩვენებებიც.

- დარიჩინი იწვევს გულისცემის აჩქარებას;

- არ ღირს მისი მიღება მაღალი ტემპერატურის დროს მასში შემავალმა ნივთიერებამ კუმარინმა შეიძლება თავის ტკივილი გამოიწვიოს;

- იმავე კუმარინის შემცველობის

გამო დარიჩინის დიდი რაოდენობით რეგულარული მიღება უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე;

- დარიჩინის გამოყენება არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც სისხლის შედედების უნარი დაქვეითებული აქვთ;

- შეიძლება გამოიწვიოს კუჭის გაღიზიანება კუჭ-ნაწლავის დაავადებების შემთხვევაში.

### რამდენიმე რეცეპტი

#### დარიჩინის გამოყენებით

დარიჩინი კლავს შიმშილის გრძნობას, ამიტომ მას იყენებენ გასახდომად.

#### • წონის დაკლება

რეცეპტი: 1/2 ჩაის კოვზ დარიჩინს დაასხით ერთი ჭიქა მდულარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათი, გადანურეთ და დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი. მიღებული ნაყენი გავაჩეროთ მთელი ღამე, გავყოთ ორ ნაწილად, მივიღოთ დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ.

პროცესის დასაქარებლად ამ ნაყენის ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. როგორც კი იგრძნობთ, რომ წონის კლების პროცესი შენედა, უნდა შეწყვიტოთ მისი მიღება. კურსის გამეორება შეიძლება ერთი თვის შემდეგ.

#### • ართრიტი

ყოველ დღე, დილით და საღამოს მიიღეთ 1 ჭიქა თბილი წყალი 2 ჩაის კოვზი თაფლით და 1 ჩაის კოვზი დარიჩინით.

#### • ცისტეიტი

2 ჩაის კოვზი თაფლი და 1 ჩაის კოვზი დარიჩინი გავსნათ თბილ წყალში და დავლიოთ. შევლის 1 საათის განმავლობაში. მხარდამჭერი თერაპიის სახით გაანახევრეთ დოზა და მიიღეთ უზმოზე.

#### • გულის დაავადებები

გააკეთეთ ჯემი თაფლისა და დარიჩინისგან შეფარდებით 1:1-ზე და მიიღეთ საუზმეზე ერთი სუფრის კოვზი. ეს რეცეპტი კარგია როგორც პროფილაქტიკის, ისე აღდგენისთვის.

#### • მაღალი ქოლესტერინი

ნახევარ ლიტრ თბილ წყალში გახსენით 2 სუფრის კოვზი თაფლი და 3 ჩაის კოვზი დარიჩინი. მიიღეთ თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში.

#### • მაღალი წნევა

არტერიულ წნევას მაშინვე დასწევს დაბლა, თუ მიიღებთ 1 სუფრის კოვზი თაფლისა და 1 ჩაის კოვზი დარიჩინის ნაზავს.

#### • კანის დაავადებები და მწერის ნაკბენი

დარიჩინი თაფლთან ერთად ეფექტურია როგორც აკმეს ისე, ეგზემის და კანის სხვა დაავადებების დროს. უბრალოდ წაისვით კანის დაზიანებულ ადგილზე მაღამო პროპორციით 1:1-ზე. ამავე მაღამოს იყენებენ მწერის ნაკბენის დროს.

#### • გაციება და გრიბი

გაციების და გრიბის დროს შევლის თბილი ჯემი – 1 სუფრის კოვზ შემთბარ თაფლს დაამატეთ 1/4 ჩაის კოვზი დარიჩინი. ჯემი მიიღეთ სამი დღის განმავლობაში 3-ჯერ დღეში.

#### • დაღლილობა

1 სუფრის კოვზი თაფლი და 1 ჩაის კოვზი დარიჩინი გახსენით 1 ჭიქა თბილ წყალში და მიიღეთ დაღლილობის დროს.

აღნიშნული სამკურნალო თვისებები ახასიათებს დარიჩინს (ლათ. ჩინ-ნამომუმ ვერუმ) და არა რომელიმე სხვა მცენარეს, რომელიც შეიძლება დარიჩინის მაგივრად გაყიდონ.

\* ხალხური რეცეპტების გამოყენების დროს გირჩევთ კონსულტაცია გაიაროთ ექიმთან.

გაზეთი „ავროკავკასია“

ზექმენი მომავალი  
საუკეთესო ტრაქტორებზე  
ერთად!

**VALTRA**

**YOUR  
WORKING  
MACHINE**



**MACHINE OF  
THE YEAR 2016**



ფინური კომპანია **ვალტრას**  
მე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამეურნეო,  
საგზაო-კომუნალური და სამშენებლო  
სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

წარმომადგენელი საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)  
☎ 2 90 50 00 2 18 18 81



# АГРОТЕКС®

გსურთ მიიღოთ ადრეული, სალი და უხვი მოსავალი?



გთავაზობთ უნიკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დამცავი გადებვის ფართო ასორტიმენტს, როგორც დანიცავს მცენარეს სარეველებისაგან, გადახურების, დამწვრობების და ნაყინვისაგან, შექმნის სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცენებისა და განვითარებისათვის, გაზიარდით მოსავლიანობას, დაზიანებათ დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური  
გაცნობა შესაძლებელია  
კომპანიის შოუ რუმში,  
მისამართზე თბილისი, დიდუბე  
პლაზა პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU](http://WWW.AGROTEKS.RU).

დაგვიკავშირდით:  
599 529 529 / 599 761321;  
E-mail: [tmikadze@yahoo.com](mailto:tmikadze@yahoo.com)